

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

ნორმატიული აქტების კრებული

Collection of Normative Acts on Prevention of Domestic Violence, Protection and Assistance of Victims of Domestic Violence

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული

წინამდებარე კრებული მომზადდა გაეროს მოსახლეობის ფონდის პროექტის „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში” ფარგლებში.

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს გაეროს მოსახლეობის ფონდის თვალსაზრისს, მის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ ავტორები.

თბილისი, 2010

ISBN:

United Nations Population Fund
gaerTianebuli erebis mosaxleobis fondi

წინასიტყვაობა

წლების განმავლობაში ოჯახური ძალადობა “ოჯახურ“ პრობლემად ითვლებოდა, რომელში ჩარევისგან თავს იკავებდა სახელმწიფოც და საზოგადოებაც. მაგრამ ის გარემოება რომ აღნიშნული ტიპის ძალადობას ადგილი აქვს ოჯახში არ ამცირებს მის საზოგადოებრივ საშიშროებას. ის ისეთივე დანაშაულია როგორც ნებისმიერი სხვა და უფრო მწვავეც კი. მისი გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია, პრობლემის არსი კი კომპლექსური. მას არ გააჩნია რასობრივი, სოციალური, კულტურული თუ ტერიტორიული საზღვრები. იგი ყველა ფენის და ეროვნული თუ ეთნიკური ჯგუფის, საზოგადოების თითოეული წევრის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, წარუშლელ კვალს ტოვებს მათ ფსიქიკაზე და ხშირად ამახინჯებს მათ ცხოვრებას, უყალიბებს შიშის და სირცხვილის კომპლექსს. როგორც წესი, მსხვერპლი არ გრძნობს თავს დაცულად არც ოჯახში და არც საზოგადოებაში, თავს არიდებს პრობლემაზე საუბარს და გაურბის სხვათა დახმარებას. რასაც გარკვეულწილად საკუთარი უფლებების არ ცოდნა და დაცვის ადექვატური, მოქნილი მექანიზმების არ არსებობა უწყობდა ხელს.

დღეს უკვე აღარავინ დავობს ოჯახური ძალადობის პრობლემის აქტუალურობაზე და მის დარეგულირებაში საზოგადოების და სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის აუცილებლობაზე. დღეს პრიორიტეტს პირველ რიგში მსხვერპლთა უფლებების დაცვა, მათთვის ადვილად ხელმისაწვდომი, ეფექტური სისტემის და უსაფრთხო გარემოს შექმნა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს პოლიტიკა ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, ადრეული ინტერვენციის, მოძალადის წინააღმდეგ ეფექტური და მოქნილი მექანიზმების სწრაფი რეალიზების, ახალი ცხოვრების დაწყებაში მსხვერპლთა ხელშეწყობის პრინციპებს ემყარება.

მაგრამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული და შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ინფორმირებულობას მსხვერპლთათვის არსებული დახმარების და დაცვის კონკრეტული მექანიზმების შესახებ.

ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი კრებული ხელს შეუწყობს საზოგადოებას უკეთ გაეცნოს არა მხოლოდ კანონმდებლობით აკრძალული ოჯახური ძალადობის ფორმებსა და სახეებს, არამედ მსხვერპლთა უფლებებს და დაცვის კონკრეტულ მექანიზმებს, ხელს შეუწყობს საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და უსაფრთხო გარემოს შექმნაში პირველ რიგში ბავშვების, ქალების და მოხუცებისათვის.

ამ კრებულის მომზადება შესაძლებელი გახდა გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით. საბჭო მადლობას უხდის გაეროს მოსახლეობის ფონდს გაწეული დახმარებისათვის.

ლალი ფაფიაშვილი
ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა
განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს
თავმჯდომარე

სარჩევი

1. წინასიტყვაობა

2. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და მათში შეტანილი ცვლილებების მიმოხილვა

3. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

4. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

5. საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

6. საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

7. საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

8. საქართველოს კანონი საქართველოს შრომის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

9. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

10. სამოქმედო ინსტრუქცია ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციისათვის ეროვნული რეფერალური მექანიზმი

11. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 აპრილის ბრძანებულება # 304, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

12. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულება # 625, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ

13. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულება # 665 ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ

14. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის ბრძანება # 183/ნ, "ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ"

15. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, 2009 წლის ქ. თბილისი, "კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ"

02

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და მათში შეტანილი ცვლილებების მიმოხილვა

ოჯახში ძალადობა თავის არსით ერთ-ერთი ყველაზე რთული, სპეციფიკური და გავრცელებული სოციალურ-სამართლებრივი პრობლემაა, რომელიც სამართალდარღვევათა მთელ რიგ ნიშნებს შეიცავს. კონფლიქტი უშუალოდ შეეხება ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს, ატარებს ლოკალურ და ჩაკეტილ ხასიათს და მის წინააღმდეგ ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული საერთო პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით ნაკლებ ეფექტურია. ოჯახში ძალადობის სამართალდარღვევასთან ბრძოლის სპეციფიკურობა მდგომარეობს, როგორც მისი გამოვლენის სირთულეში, ისე მის წინააღმდეგ გამოსაყენებელი იძულების ღონისძიებების ეფექტურ და მართლზომიერ შერჩევაში.

აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ კონკრეტული ოჯახის ცალკეული წევრების პრობლემა არ არის, ასეთი კონფლიქტები ნეგატიურად მოქმედებენ ოჯახის სხვა წევრებზე (განსაკუთრებით არასრულწლოვან პირებზე), იწვევენ მათი ფსიქიკისა და ცნობიერების დამახინჯებას, რაც მთლიანად საზოგადოებაში არაჯანსაღი სიტუაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის დაძლევისათვის საზოგადოების აქტიურობას და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების მიზანმიმართულ და ქმედით გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

პრობლემის სირთულე განაპირობებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გარკვეული სპეციფიკური და სისტემური ღონისძიებების ჩამოყალიბების აუცილებლობას. რაც თავის მხრივ შესაბამისი სამართლებრივი აქტით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომელიც სოციალური პარტნიორობისა და საზოგადოების წევრთა ურთიერთთანამშრომლობის დამატებით მხარდაჭერაზე იქნება დაფუძნებული. აღნიშნულის გათვალისწინებით ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლის უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს გარკვეული სისტემურ ღონისძიებათა კომპლექსი და მის რეალიზებაში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი არამხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების, არამედ საზოგადოების სხვადასხვა სოციალური სფეროს თუ სამსახურის წარმომადგენელები. აღნიშნული თავის მხრივ გულისხმობს კანონმდებლობაში იმ დამატებითი მექანიზმების შემოღებასაც, რომელიც ორიენტირებული იქნება, როგორც პრობლემის დაძლევაზე, ისე უზრუნველყოფს მსგავსი პრობლემების პრევენციას.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური სამართალდაცვითი და პრევენციული მექანიზმების შემოღება და დამკვიდრება, ასევე უკავშირდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მსგავს საკითხებთან მიმართებაში. აღნიშნული შეეხებათ, როგორც თვით ძალადობის მხრივ რისკის შემცველ ოჯახებს, ასევე იმ სახელმწიფო მოხელეებსა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობენ აღნიშნული სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში. შესაბამისად, ოჯახური ძალადობის პრობლემის არსის, მის წინააღმდეგ გამოსაყენებელი ღონისძიებების, მსგავს პროცესებში საზოგადოების თითქმის ყველა ჯგუფის მონაწილეობის გაცნობიერება, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ და თანმდევ ღონისძიებად უნდა იქნეს განხილული.

სწორედ ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობეს ოჯახში ძალადობის დასაძლევად საქართველოში სპეციალური საკანონმდებლო აქტის მომზადება და მიღება. კერძოდ, 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი, ასევე აღნიშნული კანონიდან გამომდინარე საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა VII3 თავი, რომელიც ოჯახში ძალადობის

აღკვეთის თაობაზე ჩვენს სამართლებრივ სისტემაში თვისობრივად ახალი დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების შემოღებას ითვალისწინებდა – დამცავი და შემაკავებელი ორდერების სახით.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი თავისი არსით სპეციფიკური და კომპლექსური ხასიათის სამართლებრივი აქტია, რომელიც ითვალისწინებს იმ დამატებით მექანიზმებსა და ღონისძიებებს, რაც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მის პრევენციასთან, მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან. აღნიშნული კანონით განისაზღვრა ოჯახში ძალადობის ცნება, ძალადობის ფორმები, ოჯახის წევრისა და მოძალადის დეფინიცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები და ინსტრუმენტები, მისი გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები, დამცავი და შემაკავებელი ორდერები, მათი გამოცემისა და გასაჩივრების პროცედურები, ოჯახში ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების თავისებურებები.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით". აღნიშნულის გათვალისწინებით კანონის მიხედვით გამიჯნული იქნა ძალადობის შემდეგი ფორმები – ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა და ეკონომიკური ძალადობა, ასევე იძულება.

აღნიშნული კანონის მიხედვით ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები; სისხლისსამართლებრივი მექანიზმები – გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები – გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები – გამოიყენება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის სახით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით, კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

კანონის მიხედვით ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლთა დაცვის უმნიშვნელოვანეს და სპეციფიკურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმებს განეკუთვნება დამცავი და შემაკავებელი ორდერები, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. დამცავი და შემაკავებელი ორდერები წარმოადგენენ სპეციფიკურ სამართლებრივ აქტებს, რომლითაც ერთის მხრივ განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის ღონისძიებები, მეორეს მხრივ დგინდება მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების განხორციელებაზე შეზღუდვები. კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული ორდერები ორი სახისაა - დამცავი და შემაკავებელი და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გამომცემი სუბიექტის, მოქმედების ვადის, გასათვალისწინებელი საკითხებით, გამოცემისა და ძალაში შესვლის სპეციფიკურობით. კერძოდ, დამცავი ორდერი გამოიცემა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო შემაკავებელი ორდერი გამოიცემა პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით და იგი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის, გასაჩივრებისა და მათში გასათვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მიხედვით, რო-

მლითაც განისაზღვრება დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოების სპეციფიკა, დამცავი და შემაკავებელი ორდერების რეკვიზიტები, მისი ძალაში შესვლისა და გასაჩივრების წესი.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის პრობლემის დაძლევის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოჯახში ძალადობის პრევენციას, განსაზღვრავს პრევენციულ ღონისძიებებსა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს.

ოჯახში ძალადობის პრობლემის რეგულირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად კანონი ასევე მიიჩნევს ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის სოციალური და შრომითი გარანტიების შექმნას, მოძალადეთა რეაბილიტაციის ღონისძიებების განსაზღვრას. კანონის მიხედვით მსხვერპლის დაცვის მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას წარმოადგენს მსხვერპლის დროებითი განთავსების ადგილით – თავშესაფრით უზრუნველყოფა. კანონის მიხედვით, თავშესაფარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილია, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე მისი დაცვის ღონისძიებებს. კანონის მიხედვით, თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 2 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდება თავშესაფრის წესდებით (დებულებით) დადგენილი წესით.

ოჯახში ძალადობის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის, დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებითა და კანონმდებლობაში არსებული ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით 2009 წლის დეკემბის თვეში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა რიგ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები, კერძოდ, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებები, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში" ცვლილებები, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებები, „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები, „საქართველოს შრომის კოდექსში" ცვლილებები, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები. კანონმდებლობაში შეტანილი აღნიშნული ცვლილებებით უფრო ეფექტური, მოქნილი და ქმედითი გახდება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები, ასევე მსხვერპლის დაცვის არსებული ღონისძიებები და შესაბამისი სამართალწარმოების პროცედურები.

ზემოაღნიშნული ცვლილებებით დამატებით განისაზღვრა ის სუბიექტი, რომელსაც სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში ექმნება პირისათვის ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების უფლებამოსილება. კერძოდ, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო ორგანოების გარდა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას ასევე განახორციელებს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი. აღნიშნულით თავის მხრივ მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო ორგანოებისადმი მიმართვის გარეშეც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით მოიპოვონ მსხვერპლის სტატუსი (შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში) და ისარგებლონ მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებული სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებით. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის

პროცედურული წესები განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის #665 ბრძანებულებით დამტკიცებული „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის" შესაბამისად. მიღებული ცვლილებებით გაფართოვდა ოჯახის წევრის ცნება და ოჯახის წევრთა კატეგორიას მიკუთვნებულ სუბიექტთა წრე, რაც შესაძლებლობას იძლევა კანონის მოქმედება და კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმები სრულად გავრცელდეს ოჯახურ კონფლიქტებთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებულ და პოტენციურად შესაძლებელ ყველა შემთხვევაზე. კერძოდ, ოჯახის წევრთა არსებულ ჩამონათვალს ასევე დაემატა მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების ოჯახის წევრები.

მითითებული ცვლილებებით განისაზღვრა მსხვერპლთა პირველადი და გადაუდებელი დახმარების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა კრიზისული ცენტრების შექმნა და ფუნქციონირება. ცვლილებების მიხედვით კრიზისული ცენტრი წარმოადგენს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილს, რომელიც ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისულ ცენტრში პირის (მასზე დამოკიდებული პირების) განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს თავშესაფარში მისი საცხოვრებლად განთავსების სურვილს და საჭიროებს მხოლოდ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას ან/და სამართლებრივ დახმარებას ან/და პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას თავშესაფარში ცხოვრების გარეშე. კანონის მიხედვით კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე. კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით გაიზარდა დამცავი ორდერის მოქმედების ვადა და მსხვერპლს შესაძლებლობა ეძლევა 6 თვით ისარგებლოს გამოცემული დამცავი ორდერის მოქმედებით. ამასთან, შესაძლებელია დამცავი ორდერის მოქმედების პერიოდში დამატებით გაგრძელებული იქნეს დამცავი ორდერის მოქმედება არა უმეტეს 3 თვის ვადით.

ცვლილებების მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოჯახში ძალადობის შემთხვევებში არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას და მოძალადე მშობლისაგან მათი გარიდებისა და განცალკევების საკითხებს. კანონის მიხედვით დამცავი ორდერის გამოცემისას სასამართლო ასევე განიხილავს არასრულწლოვანთან მოძალადე მშობლის ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას მოძალადე მშობლისაგან არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი. აღნიშნულის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო დროებითი ღონისძიების სახით იღებს განკარგულებას მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში.

ცვლილებების მიხედვით არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. ამასთან, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

კანონის მიხედვით მოძალადე მშობელს არასრულწლოვანი შვილის მონახულების უფლება შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიმართ დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, რომელიც მოიცავს არასრულწლოვნის მონახულების ადგილს, დროს, პერიოდულობას, ხანგრძლივობას და პირს,

რომელიც პასუხისმგებელია არასრულწლოვნის უსაფრთხოების მოთხოვნების (ზომების) დაცვისთვის. თუ არასრულწლოვნის მიმართ უსაფრთხოების ზომები დაცული არ არის, იზღუდება მოძალადე მშობლის მიერ არასრულწლოვნის მონახულების უფლება. თუ აღნიშნული შეზღუდვა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, მშობელს, რომლის უფლებაც იზღუდება, შეუძლია მიმართოს სასამართლოს არასრულწლოვნის მონახულების პირობების შეცვლის მოთხოვნით. მოძალადის მიერ არასრულწლოვნის მოტაცების ან მისთვის სხვა სახის ზიანის მიყენების რეალური საფრთხის არსებობისას სასამართლო გადაწყვეტილებით მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს არასრულწლოვნის მონახულება გარემოების შეცვლამდე.

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით ახლებურად ჩამოყალიბდა ნორმები მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით. კანონის მიხედვით მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები გულისხმობს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართული იქნება მოძალადის ფსიქო-სოციალური დახმარებისა და გაჯანსაღებისაკენ, ცალკეული მავნე ჩვევებისაგან (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია ან ისეთი ფსიქიური დაავადება, რომელიც არ გამორიცხავს შერაცხადობას) პირის განკურნებისა და რეაბილიტაციისაკენ და დაკავშირებულია ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებისა და მსხვერპლის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ამასთან, მოძალადეთა კონკრეტული სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მისი განხორციელების წესი და ფორმები, აღნიშნულ სფეროში არსებული პრაქტიკისა და უცხოური ანალოგიის გათვალისწინებით დამატებით უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მიღებული ცვლილებებით გაიზარდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში განთავსების ვადები. კანონის მიხედვით თავშესაფარში მსხვერპლი შეიძლება განთავსდეს 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს თავშესაფრის წესდებით (შინაგანაწესით) განსაზღვრული წესით. ამასთან, მიღებული ცვლილებების მიხედვით კანონმდებლობას ემატება ნორმა, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსების პერიოდში, თუ მის მიერ შეუძლებელი ხდება სამსახურებრივ მოვალობათა შესრულება, უნარჩუნდება სამუშაო ადგილი, აღნიშნული ასევე ვრცელდება სახელმწიფო (საჯარო) სამსახურში დასაქმებულ პირებზე.

მიღებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად დაზუსტდა და დეტალურად დარეგულირდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების - დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემა/დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურული ნორმები და ორდერებით რეგულირებული საკითხების წრე.

აღსანიშნავია, რომ მიღებული ცვლილებების მიხედვით დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში პირები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და აღნიშნული ბაჟის გადაუხდელობა არ შეიძლება გახდეს შესაბამისი სამართალწარმოების შეფერხების ან მასზე უარის თქმის საფუძველი. ამასთან მიღებული კანონით დაზუსტდა დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოების პროცედურული ნორმები და განსჯადობის წესი, კერძოდ, კანონის მიხედვით განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კანონის მიხედვით დაზუსტდა იმ პირის შესაბამის სამართალწარმოებაში ჩართულობის პროცედურული ნორმები, რომლის მიმართაც შეტანილია განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში განცხადებასა და თანდართულ მასალებს უგზავნის იმ პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, აგრეთვე აძლევს მას უფლებას წარადგინოს მტკიცებულებები. პირი, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება,

უფლებამოსილია წერილობით უპასუხოს განცხადებაში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით სასამართლო დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს მას და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ან/და შემაკავებელი ორდერის მოქმედებას. საჩივართან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიღებული ცვლილებებით ამომწურავად განისაზღვრა შემაკავებელი ორდერების გამოცემისა და დამტკიცების პროცედურული ნორმები. კანონის მიხედვით ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ გამოიცემა შემაკავებელი ორდერი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. სასამართლო შემაკავებელი ორდერის დასამტკიცებლად წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების შესახებ. შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში დეტალურად განისაზღვრება მოძალადისათვის დაწესებული შეზღუდვების პირობები და მსხვერპლის დასაცავად გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთან, სასამართლო პოლიციის უფლებამოსილი პირის ან პროცესის მონაწილე სხვა პირთა მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრავს შემაკავებელი ორდერის მოქმედების კონკრეტულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს. კანონის მიხედვით შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის ძალაში და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება პროცესის მონაწილე მხარეებს, აგრეთვე ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს.

დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების არსებული მექანიზმების გაუმჯობესებისა და ორდერების მოქმედების ეფექტურობის ამაღლების მიზნით შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის მიხედვით დაწესდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისა და შეუსრულებლობისათვის. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა ნორმა (მუხლი 1752), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შემაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შემაკავებელი ორდერის დარღვევის შემთხვევაში განისაზღვრება მოძალადისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებით 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოების შეფარდებით ერთ თვემდე ვადით, ხოლო დამცავი ორდერის დარღვევის შემთხვევაში – ადმინისტრაციული პატიმრობით 30 დღემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით სამ თვემდე ვადით. კანონის მიხედვით აღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები, ხოლო საქმეს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. ამასთან, მიღებული ცვლილების მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს ენიჭებათ

აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ადმინისტრაციული დაკავების უფლებამოსილება. ცვლილებების მიხედვით, დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქმეები განიხილება ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

მიღებული ცვლილებებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ასევე დაემატა ნორმა (მუხლი 3811), რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. კერძოდ, სისხლის სამართლებრივი წესით დასჯას დაექვემდებარა დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1752-ე მუხლის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე.

მიღებული კანონით განისაზღვრა დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების პერიოდში მოძალადისათვის იარაღის შეძენის შენახვისა და სარგებლობის პირობები, კერძოდ, კანონის მიხედვით დამცავი და შემაკავებელი ორდერით განისაზღვრება ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან აკრძალვა, ასევე აღნიშნულ პერიოდში იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვისა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობები.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კომპლექსური და ეფექტური ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული რეფერალური მექანიზმების მომზადება და დამტკიცება. ეროვნული რეფერალური მექანიზმი ეს არის სამოქმედო ინსტრუქცია ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციისათვის და წარმოადგენს ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სფეროში მომუშავე საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის და ურთიერთშეთანხმების დოკუმენტს. ეროვნული რეფერალური მექანიზმების მიზანია იმ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომელიც მიმართული იქნება ოჯახში ძალადობის აღკვეთაზე, პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებაზე.

ეროვნული რეფერალური მექანიზმი განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის პროცესში მონაწილე სუბიექტთა წრეს, მათ კონკრეტულ ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს. ეროვნული რეფერალური მექანიზმის მონაწილე სუბიექტებია – საპატრულო/საუბნო პოლიცია, სასამართლო ორგანოები, პროკურატურის ორგანოები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებები, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო, საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

ეროვნული რეფერალური მექანიზმის მიხედვით ოჯახში ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია ხორციელდება სამი ძირითადი საფეხურის მიხედვით: ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაცია; მსხვერპლის და მოძალადის იდენტიფიკაცია; მსხვერპლის დაცვა და რეაბილიტაცია;

ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაცია გულისხმობს იმ სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის, აღმოჩენის, შეფასებისა და მისი აღკვეთისათვის სათანადო პირველადი და გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებაზე. ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაციას თავისი კომპეტენციის გათვალისწინებით უზრუნველყოფენ სამართალდამცავი ორგანოები (საპატრულო/საუბნო პოლიცია).

ეროვნული რეფერალური მექანიზმის მიხედვით ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიკაციასა და სტატუსის მინიჭების საკითხს წყვეტს საპატრულო/საუბნო პოლიცია ან სასამართლო, ხოლო ასეთი ორგანოებისადმი მიუმართაობის შემთხვევაში ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიკაციას ასევე ახორციელებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი.

რეფერალური მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა ტიპის მომსახურების გაწევა. აღნიშნული ხორციელდება სახელმწიფოსა და უფლებამოსილ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის დოკუმენტით განსაზღვრული პრინციპებისა და მექანიზმების საფუძველზე და ორიენტირებულია მსხვერპლისათვის დახმარების დროულ, ეფექტურ და კვალიფიციურ აღმოჩენაზე.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრაში დიდი მნიშვნელობა გააჩნია ასევე ცალკეულ კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტული ღონისძიებების რეალიზაციის წესსა და პირობებს. როგორც ზემოთ აღინიშნა საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის #665 ბრძანებულებით დამტკიცდა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესი" და განისაზღვრა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებაზე უფლებამოსილი სუბიექტები. აღნიშნული წესის მიხედვით ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიკაციას ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახური და სასამართლო, ხოლო მითითებული ორგანოებისადმი მიუმართაობის შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიკაციას ასევე ახდენს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი იქმნება ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განხორციელებული საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ და შედგება არანაკლებ 3 პირისაგან, მათ შორის სოციალური მუშაკის, ფსოქოლოგისა და იურისტისაგან. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი პირისათვის ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი ორგანიზაციებისაგან წარმოდგენილი ინფორმაციისა და შევსებული სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარების საფუძველზე. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს სავარაუდო მსხვერპლს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარი ივსება უფლებამოსილი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების შედეგად.

მითითებული წესის მიხედვით სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ სავარაუდო მსხვერპლი გამოთქვამს სურვილს თავშესაფარში მოთავსების თაობაზე, იგი შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში, ხოლო სტატუსის განსაზღვრამდე, მისი სურვილისამებრ, შესაძლებელია განთავსდეს კრიზისულ ცენტრში.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვისა და შესაბამის ღონისძიებათა რეალიზაციის თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 აპრილის #304 განკარგულება, რომლითაც დამტკიცდა „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა". აღნიშნული გეგმა კომპლექსური შინაარსისაა და ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ როგორც არსებული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისათვის სათანადო ღონისძიებების განხორციელებას, ასევე შესაბამისი პრობლემის კვლევას, პრევენციასა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის საშუალებების, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მექანიზმების გაძლიერებას. კერძოდ, გეგმის ძირითადი მიმართულებად განისაზღვრა: ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა (ეროვნული რეფერალური მექანიზმის შემუშავება და მოქმედი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა); ოჯახში ძალადობის მასშტაბების კვლევა; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია (შესაბამისი პროგრამების შემუშავება და დანერგვა); ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების შექმნის ხელშეწყობა და კოორდინაცია; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო პროგრამების შექმნა და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაძლიერება; დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების მონიტორინგის პროგრამების შემუშავება და დანერგვა; ოჯახში ძალადობის პრევენციის მეთოდების გაუმჯობესება; ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავება; სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა. ნიშანდობლივია, რომ სამოქმედო გეგმით განისაზღვრა გეგმის თითოეული კომპონენტის (ღონისძიების) შესრულების ზუსტი ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები.

საქართველოს მოქმედი კანონმდებობის მიმოხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით აღიარებულია მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახური ძალადობის ფაქტებზე ოპერატიულ და ქმედით რეაგირებას, ასევე ოჯახური ძალადობის მსხვერპლს აძლევს დაცვის საშუალებებს (როგორც სამართლებრივი, ისე სოციალური თვალსაზრისით). კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია ის დამატებითი მექანიზმები, რამაც უნდა უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის პრევენცია და გათვალისწინებულია აღნიშნული ღონისძიებების მუდმივი და დინამიური განახლება. კანონმდებლობის არსებითი აქცენტები ორიენტირებულია მსხვერპლის დაცვაზე, დაცვის ქმედითი და მისაღები მექანიზმების დამკვიდრებაზე (სტატუსის განსაზღვრიდან დაწყებული დაცვის სოციალური საშუალებებით სარგებლობის ჩათვლით). კერძოდ, ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს როგორც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს (პოლიციას, სასამართლოს და ა.შ), მოითხოვოს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვა, ასევე მისი სტატუსი შესაძლებელია განისაზღვროს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ, რაც მას ასევე აძლევს საშუალებას ისარგებლოს დაცვის ყველა არსებული მექანიზმებით, განთავსდეს კრიზისულ ცენტრში ან/და თავშესაფარში, ისარგებლოს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით, სამართლებრივი დახმარებით, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით.

03

საქართველოს კანონი

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.

მუხლი 2. კანონის მიზანი (28.12.2009 N 2507)

ამ კანონის მიზანია:

ა) ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა;

ბ) ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა;

გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;

დ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა;

ე) ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა;

ვ) მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ბ) ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

გ) იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

დ) სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ე) ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

ვ) მსხვერპლი – ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა); (28.12.2009 N 2507)

ზ) ოჯახის წევრი – ამ კანონის მიზნებისთვის, დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე; (28.12.2009 N 2507 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან)

თ) მოძალადე – ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ;

ი) თავშესაფარი – ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დაცვის ღონისძიებებს; ამ კანონის VI თავის ამოქმედებამდე – ასევე ოჯახის ნათესავებისა და მეგობრების ოჯახი;

კ) მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები – ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს მოძალადის რეაბილიტაციასა და კრიზისულ ინტერვენციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად; (28.12.2009 N 2507)

ლ) კრიზისული ცენტრი – ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისულ ცენტრში პირის (მასზე დამოკიდებული პირების) განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს თავშესაფარში მისი საცხოვრებლად განთავსების სურვილს და საჭიროებს მხოლოდ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას ან/და სამართლებრივ დახმარებას ან/და პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას თავშესაფარში ცხოვრების გარეშე; (28.12.2009 N 2507)

მ) ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი – პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ არის მსხვერპლი და რომელიც მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის მიზნით მიმართავს შესაბამის ორგანოებს/ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს). (28.12.2009 N 2507)

მუხლი 5. საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონსა და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს.

თავი II
ოჯახში ძალადობის პრევენცია

მუხლი 6. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები

1. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისაკენ, ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთის, მოძალადის სამართლებრივი დევნისა და მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისაკენ.
2. სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას.
3. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს:
ა) იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია;
ბ) ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად;
გ) შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;
დ) პრევენციული ღონისძიებების გატარებას იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომელთაც ოჯახში ჩადენილი აქვთ ძალადობა;
ე) სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს;
ვ) ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას;
ზ) ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მსხვერპლთათვის დახმარებისა და დაცვის, ხოლო მოძალადეთათვის – სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელებას; (28.12.2009 N 2507)
თ) ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას.

მუხლი 7. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება

1. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები.
2. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისას შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა შეიძლება ითანამშრომლონ ოჯახში ძალადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე დაინტერესებულ ინსტიტუტებთან და უზრუნველყონ შესაბამისი ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.

მუხლი 8. სოციალური მომსახურება

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სოციალურ მომსახურებას ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისთვის.
2. სოციალური მომსახურება მოიცავს:
ა) ოჯახური დავების მიზეზების შესწავლას, შესაბამის ანალიზს და დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარებას;
ბ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელებას;
გ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა რისკ-ჯგუფების გა-

მოვლენას და მათთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში ხელშეწყობას;
დ) დამცავი ორდერის გაცემის პროცესში მონაწილეობას;
ე) დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგს;
ვ) მოძალადეთა და მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების ხელშეწყობას.

თავი III
ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები

მუხლი 9. ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები

1. ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.
2. სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.
3. სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემის სახით, აგრეთვე მაშინ, თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით. (28.12.2009 N 2507)

მუხლი 10. დამცავი და შემაკავებელი ორდერები

1. ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ იქნეს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი.
2. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. (28.12.2009 N 2507)
3. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.
4. მოძალადის მიერ შემაკავებელი/დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (28.12.2009 N 2507)

მუხლი 11. დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება (28.12.2009 N 2507)

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ანდა მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მუხლი 12. დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ვადა (28.12.2009 N 2507)

1. დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.
2. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით არა უმეტეს

3 თვით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.
3. დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედება შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა შერიგებისას მოსამართლის სათანადო გადაწყვეტილებით, სასამართლოსათვის მხარეთა ერთობლივი მიმართვის საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტითა და ამ კანონის მე-13 მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
4. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით და მას ამტკიცებს ან დამტკიცებაზე უარს ამბობს სასამართლო უფლებამოსილი პირის მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში.

მუხლი 13. დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედება

მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების დროს (28.12.2009 N 2507)
მხარეთა შერიგება არ აფერხებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემას ან არ იწვევს გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების გაუქმებას, თუ ოჯახში ძალადობის ფაქტი ლახავს ოჯახის სხვა წევრთა, განსაკუთრებით – არასრულწლოვნის ინტერესებს.

თავი IV
ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვნის დაცვის სპეციფიკური ღონისძიებები

მუხლი 14. არასრულწლოვნის განცალკევება მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან (28.12.2009 N 2507 ამოქმედდეს)

1. ოჯახში ძალადობის ფორმების არსებობისას ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირის მიერ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში სასამართლო განიხილავს არასრულწლოვანთან მოძალადე მშობლის/მშობლების ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას დროებითი ღონისძიების სახით მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
2. არასრულწლოვნის წარმომადგენლის უფლების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოძალადე მშობლისათვის წარმომადგენლის უფლების დატოვება საზიანოა არასრულწლოვნის ინტერესებისათვის. დაუშვებელია მშობლებისათვის არასრულწლოვანზე ერთობლივი მეურვეობის დატოვება, თუ არსებობს მის მიმართ ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი.
3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

მუხლი 15. არასრულწლოვნის მოტაცების თავიდან აცილებისა და სხვა სახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (28.12.2009 N 2507)

1. სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს მოძალადე მშობლის მიერ არასრულწლოვნის მონახულების ვადებს. მოძალადე მშობელს არასრულწლოვნის მონახულების უფლება შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიმართ დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვნის მონახულების ადგილს, დროს, პერიოდულობას, ხანგრძლივობას და პირს, რომელიც პასუხისმგებელია არასრულწლოვნის უსაფრთხოების მოთხოვნების/ზომების დაცვისთვის.
2. თუ არასრულწლოვნის მიმართ უსაფრთხოების ზომები დაცული არ არის, იზღუდება მოძალადე მშობლის მიერ არასრულწლოვნის მონახულების უფლება. თუ აღნიშნული შეზღუდვა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება,

მშობელს, რომლის უფლებაც იზღუდება, შეუძლია მიმართოს სასამართლოს არასრულწლოვნის მონახულების პირობების შეცვლის მოთხოვნით.
3. მოძალადის მიერ არასრულწლოვნის მოტაცების ან მისთვის სხვა სახის ზიანის მიყენების რეალური საფრთხის არსებობისას სასამართლო გადაწყვეტილებით მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს მისი მონახულების უფლება გარემოების შეცვლამდე.

თავი V
ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოების თავისებურებანი

მუხლი 16. პოლიციის მოვალეობანი

1. პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. (28.12.2009 N 2507)
2. ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა.
3. ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია:
ა) მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად;
ბ) განცალკევებულად გამოკითხოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, მათ შორის, არასრულწლოვანი, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს; (28.12.2009 N 2507)
გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;
დ) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;
ე) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და არასრულწლოვნის გადაყვანა თავშესაფარში; (28.12.2009 N 2507)
ვ) მსხვერპლის სხვა ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი საცხოვრებელი ადგილიდან პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წამოღება; (28.12.2009 N 2507)
ზ) უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;
თ) ამ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი.
4. პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ ადგენს ოქმს, რომელსაც წარუდგენს ზედამხედველ პროკურორს.
5. პოლიცია ვალდებულია თავის ანგარიშში ცალკე გამოყოს მონაცემები ოჯახში ძალადობის ფაქტების, მიღებული ზომების, მსხვერპლთა რაოდენობის, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების, აგრეთვე მოძალადის სხვა მონაცემების შესახებ.
6. პოლიცია ვალდებულია მოახდინოს კანონით გათვალისწინებული რეაგირება დამცავი და შემაკავებელი ორდერების დარღვევაზე. (28.12.2009 N 2507)

მუხლი 161. მსხვერპლის სტატუსის მინიჭება (28.12.2009 N 2507)

1. მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას ამ კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებთან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური, სასამართლო ორგანო) ერთად ასევე უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი).
2. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესი განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის N665 ბრძანებულებით „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“.

თავი VI
ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სოციალური და შრომითი გარანტიები, მოძალადეთა რეაბილიტაციის ღონისძიებები

მუხლი 17. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი)

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს მსხვერპლის საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მის პირველად და გადაუდებელ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას.
2. არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ თავშესაფრის შექმნა დასაშვებია, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.
3. თავშესაფრის საქმიანობა რეგულირდება წესდებით (შინაგანაწესით), რომელიც განსაზღვრავს თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსებისა და მისი რეაბილიტაციის წესს. (28.12.2009 N 2507)

მუხლი 18. მსხვერპლის მოთავსება თავშესაფარში

1. ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის იქ გადაყვანას.
2. თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელდება თავშესაფრის წესდებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლს არ სურს ზემოაღნიშნულ პერიოდზე მეტი ხნით იქ დარჩენა. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად. (28.12.2009 N 2507)
3. მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე. (28.12.2009 N 2507)

მუხლი 181. კრიზისული ცენტრი (28.12.2009 N 2507)

1. კრიზისული ცენტრი წარმოადგენს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილს და ემსახურება ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას.
2. კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე. არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ შექმნილი კრიზისული ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

მუხლი 19. ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის შესახებ

მსხვერპლის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 20. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები (28.12.2009 N 2507)

მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები გულისხმობს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მოძალადის ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისა და გაჯანსაღებისაკენ, ცალკეული მავნე ჩვევებისაგან (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია ან ისეთი ფსიქიკური დაავადება, რომელიც არ გამორიცხავს

შერაცხადობას) პირის განკურნებისა და რეაბილიტაციისაკენ და დაკავშირებულია ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებასა და მსხვერპლის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავი VII
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 21. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ კანონის VI თავის ამოქმედებამდე განსაზღვროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები და უზრუნველყოს მათი შექმნა.
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2015 წლის 1 ივლისამდე განსაზღვროს ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმები და უზრუნველყოს შესაბამისი სოციალური მუშაკების მომზადება (სერტიფიცირება). (28.12.2009 N 2507)
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის ფაქტზე შემაკავებელი ორდერის ფორმის შემუშავება და დამტკიცება.
4 საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოს მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების განსაზღვრა. (28.12.2009 N 2507)
5. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის თაობაზე არსებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლისათვის უწყებებს შორის თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავება. (28.12.2009 N 2507)
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს მოძალადეთა და გაცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების თაობაზე მონაცემთა ბაზის ფორმირება, აღნიშნული ინფორმაციის დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან დროული გაცვლა და მისი ხელმისაწვდომობა. (28.12.2009 N 2507)
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2010 წლის 1 ივლისამდე განსაზღვროს კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები. (28.12.2009 N 2507)

თავი VIII
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა მე-8 მუხლისა და VI თავისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის მე-8 მუხლი და VI თავი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.
3. ამ კანონის მე-8 და მე-20 მუხლების მოქმედება შეჩერდეს 2015 წლის 1 ივლისამდე. (28.12.2009 N 2507)

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2006 წლის 25 მაისი.
N 3143-Iს

04

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41(48), 1999 წელი, მუხ. 209) დაემატოს შემდეგი შინაარსის 3811 მუხლი:

„მუხლი 3811. დამცავი ან შემაკავებელი ორდერით
გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და
ვალდებულებების შეუსრულებლობა
დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1752 მუხლის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, –
ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2009 წლის 28 დეკემბერი.
N 2513 – რს.

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N39(46), 1999 წელი, მუხ. 190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:
1. მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე და ამ კოდექსის VII^{3} თავით გათვალისწინებულ საქმეებზე“.

2. 21^{12} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 21^{12}. სასამართლოსათვის მიმართვა

1. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

2. ოჯახში ძალადობისას სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას“.

3. 21^{13} მუხლის:
ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი“;
ბ) მე-3 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}“ ქვეპუნქტი:
„ბ^{1}) მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონის (მათ შორის, მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში“;
გ) მე-4 და მე-5 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს მას და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

5. სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში განცხადებასა და თანდართულ მასალებს უგზავნის იმ პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, აგრეთვე აძლევს მას უფლებას წარადგინოს მტკიცებულებები. პირი, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, უფლებამოსილია წერილობით უპასუხოს განცხადებაში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან 3 დღის ვადაში“;
დ) მე-5 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^{1} და 5^{2} ნაწილები:
„5^{1}. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე.
5^{2}. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო ასევე განიხილავს არასრულწლოვანთან მოძალადე მშობლის/მშობლების ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვნის

მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი. აღნიშნულის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო დროებითი ღონისძიების სახით იღებს განკარგულებას მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში“;
ე) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ თავით განსაზღვრული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ან/და შემაკავებელი ორდერის მოქმედებას. საჩივართან დაკავშირებით ამ თავით დადგენილი წესით გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება“;
ვ) მე-7 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 ნაწილი:
„7^1. ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აგრეთვე ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს; თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხები შეეხება არასრულწლოვანს, სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს“;
ზ) მე-8 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

4. 21^{14} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 21^{14}. შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი

1. ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით შესაძლებელია გამოცემული იქნეს შემაკავებელი ორდერი.

2. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

3. შემაკავებელი ორდერი მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

4. სასამართლო შემაკავებელი ორდერის დასამტკიცებლად წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების შესახებ.

5. შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა იქნეს ასახული მოძალადისათვის დაწესებული შეზღუდვების პირობები და მსხვერპლის დასაცავად გათვალისწინებული ღონისძიებები.

6. სასამართლო პოლიციის უფლებამოსილი პირის ან პროცესის მონაწილე სხვა პირთა მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრავს შემაკავებელი ორდერის მოქმედების კონკრეტულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

7. შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის ძალაში და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება პროცესის მონაწილე მხარეებს, აგრეთვე ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით; თუ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხი შეეხება არასრულწლოვანს, სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

8. თუ შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხის განხილვისას სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, საქმის მასალები ქვემდებარეობის შესაბამისად ეგზავნება შესაბამის ორგანოს სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადასაწყვეტად.

9. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით“.

5. 21^{15} მუხლის:
ა) მე-3 ნაწილის:
ა.ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს“;
ა.ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ზ) ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, აღნიშნულ პერიოდში იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვასა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობებს“;
ა.გ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კ) გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ“;
ბ) მე-4 ნაწილის:
ბ.ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევების საკითხებს“;
ბ.ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ვ) ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, აღნიშნულ პერიოდში იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვასა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობებს“;
ბ.გ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ვ^1$“ ქვეპუნქტი:
„$ვ^1$) გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ“;
გ) მე-5 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 ნაწილი:
„5^1. შემაკავებელი და დამცავი ორდერების მოქმედების ვადები განისაზღვრება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით“;
დ) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამცავი ორდერი მზადდება არანაკლებ 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს, ერთი ეგზემპლარი რჩება ორდერის გამომცემ ორგანოში, ხოლო ერთი ეგზემპლარი ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი

ადგილის მიხედვით. თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხი შეეხება არასრულწლოვანს, დამცავი ორდერის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს, დამცავი და შემაკავებელი ორდერების თითო ეგზემპლარი ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს. დამცავ ორდერთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მხარეებს ბარდება ამ კოდექსით დადგენილი წესით";

ე) მე-6 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 ნაწილი:
„6^1. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შემაკავებელი ორდერი მზადდება არანაკლებ 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს, ერთი ეგზემპლარი რჩება ორდერის გამომცემ ორგანოში, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი სამართლებრივი პროცედურის განსახორციელებლად.".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2009 წლის 28 დეკემბერი.
N 2510 – რს.

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილებები:
1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 175^2 მუხლი:

„მუხლი 175^2. დამცავი და შემაკავებელი ორდერებით
გათვალისწინებული მოთხოვნებისა და
ვალდებულებების შეუსრულებლობა
1. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა – გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით.

2. დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა – გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს სამ თვემდე ვადით“.

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონის (ქალაქის) სასამართლოების განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონის (ქალაქის) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^1 და 42^2 მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე–44^3, 44^5, 44^6, 45-ე–56-ე, 57-ე–69-ე, 71-ე–78-ე, 79^1–82^1, 84-ე–86-ე, 88-ე–89^3, 90-ე–91^2, 92^2, 94-ე–100^2, 103-ე–105^1, 105^4, 128^1, 128^2, 143-ე–144^1, 144^3–144^5, 145-ე, 146^1, 148-ე–152-ე, 152^2–154^2, 155^1–156-ე, 157^1–158^1, 159-ე–159^9, 163-ე, 164-ე, 164^4, 165^1–165^3, 166-ე, 167-ე, 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^1, 173^4, 173^{10}, 173^{11}, 174^1, 174^5, 174^8–174^{14}, 175^2, 177^8–178-ე, 179^1–183-ე, 187-ე–187^2, 189-ე, 191-ე (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 1^1 ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196^2–196^6, 197^1 მუხლებით.

3. 239-ე მუხლის მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ კოდექსის 45-ე, 81-ე, 107-ე, 114^1, 116-ე–125-ე, 127-ე მუხლებით, 127^1 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 134-ე, 166-ე, 173-ე, 174^1, 175^2, 176^1, 177^1, 180-ე–183-ე და 190^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 166-ე და 197^2 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი”.

4. 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს – წვრილმანი ხულიგნობის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების

და დემონსტრაციების ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის, პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის, ოჯახში ძალადობის ჩადენის, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის, პროსტიტუციის, საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნის, საგზაო მოძრაობის წესების, ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვაგვარი დარღვევების, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;“.

5. 252-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 45-ე, 47-ე–100^{2}, 103-ე–105^{1}, 134-ე, 135-ე, 143-ე, 144-ე, 145-ე–154^{2}, 156-ე, 157^{1}–158-ე, 164-ე, 164^{4}, 165-ე, 165^{1}, 165^{4}–165^{9}, 166-ე, 167-ე, 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 172^{4}, 173-ე, 173^{1}, 173^{2}, 173^{6}, 173^{7}, 173^{9}, 174-ე–174^{4}, 175-ე, 175^{1}, 175^{2}, 177^{1}–177^{10}, 179^{2}, 180-ე–183^{1}, 185-ე–187^{2}, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^{2}–196^{6}, 197^{1} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა; თუ იგი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, ასეთი პირი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ”.

6. 262-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 42^{1}, 42^{2}, 45-ე, 161-ე, 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, 173-ე და 175^{2} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილება ერთი დღე-ღამის განმავლობაში, ამ კოდექსის 142-ე, 153^{3} და 154-ე 174^{1}, 174^{2}, 174^{3}, 174^{4}, 174^{5}, 174^{7} მუხლებით გათვალისწინებული – სამი დღის განმავლობაში, ამ კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული – ხუთი დღის ვადაში, ამ კოდექსის 47-ე-100^{2} მუხლებით, 103-ე-105^{1}, 107^{1} მუხლებით, 141-ე, 143-ე-153-ე მუხლებით, 154^{1}, 154^{2}, 156-ე-158-ე, 158^{1}, 159-ე, 159^{1}, 159^{2}, 159^{3}, 159^{5}–159^{9}, 163-ე, 164-ე, 165^{4}-165^{9}, 167-ე, 170-ე მუხლებით, 174-ე, 175-ე, 177^{1}, 179^{1} მუხლებით, 180-ე–183^{1} მუხლებით, 185-ე 187^{1}, 187^{2}, 189-ე მუხლებით, 192-ე, 195-ე, 1962-1966 მუხლებით, 197^{1} მუხლით გათვალისწინებული – შვიდი დღის ვადაში”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2009 წლის 28 დეკემბერი.
N 2512 – რს.

საქართველოს კანონი

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N14, 3.06.2003, მუხ. 90) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოძალადეს (შემდგომში – მოძალადე) დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ვადით ეკრძალება პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება, ხოლო ეზღუდება ან ეკრძალება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება. დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადეს ჩამოერთმევა პირად საკუთრებაში არსებული იარაღი და შეეზღუდება ან ჩამოერთმევა გადაცემული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება. ჩამორთმეული იარაღი შეინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

2. მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მოძალადეს დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით ეკრძალება იარაღის შეძენა“.

3. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის მისი კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან აღნიშნულ პერიოდში მისი დროებით ჩამორთმევის პირობები განისაზღვრება შესაბამისი ორდერით. დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ შემთხვევებში მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესი და პირობები, აგრეთვე სამსახურებრივ-საშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით“.

4. 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი პირის მიმართ გამოცემულია დამცავი ან შემაკავებელი ორდერი – ამ ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით“.

5. 28-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) მოძალადისაგან მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით“.

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ კანონის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში უზრუნველყოს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე სამსახურებრივ-საშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე შესაბამისი წესის დამტკიცება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2009 წლის 28 დეკემბერი.
N 2511 – რს.

08

საქართველოს კანონი

საქართველოს შრომის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს შრომის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N23, 19.06.2006, მუხ. 183) 36-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ[1]“ ქვეპუნქტი:

„ვ[1]) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსება, რომლის დროსაც შეუძლებელი ხდება მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა წელიწადში;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2009 წლის 28 დეკემბერი.
N 2508 – რს.

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N45, 21.11.1997, გვ. 55) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში მოხელეს კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო, დანამატები ან ეძლევა სხვაგვარი კომპენსაცია, გარდა ამ კანონის 89-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შემთხვევებისა და 89-ე მუხლის „ვ^1“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისა“.

2. 89-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^1“ ქვეპუნქტი:

„ვ1) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისას, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა წელიწადში; ამასთანავე, დაწესებულებისათვის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება მომსახურების გამწევ ორგანიზაციას“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2009 წლის 28 დეკემბერი.
N 2509 – რს.

10

სამოქმედო ინსტრუქცია ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციისათვის

ეროვნული რეფერალური მექანიზმი

სამოქმედო ინსტრუქცია ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციისათვის (შემდგომში – ეროვნული რეფერალური მექანიზმი) წარმოადგენს ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სფეროში მომუშავე საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის და ურთიერთშეთანხმების დოკუმენტს. ეროვნული რეფერალური მექანიზმის მიზანია იმ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომელნიც მიმართული იქნება ოჯახში ძალადობის აღკვეთაზე, პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებაზე.

ოჯახში ძალადობა კომპლექსური პრობლემაა და არ არსებობს მხოლოდ ერთი, ყველა სიტუაციაში პირდაპირ გამოსაყენებელი ზოგადი სამოქმედო გეგმა. თუმცა, წინამდებარე სამოქმედო ინსტრუქცია ეფუძნება იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დახმარების დროული და ეფექტური აღმოჩენის სისტემის შექმნა ეროვნული რეფერალური მექანიზმის მთავარი სტრატეგიული დანიშნულებაა.

შესაბამისად, წინამდებარე სამოქმედო ინსტრუქციას, რომელიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ კომპლექსურ ღონისძიებებს ითვალისწინებს, შემდეგ ძირითადი პრინციპები უდევს საფუძვლად:

- ოჯახში ძალადობის პრევენცია;
- მოძალადის წინააღმდეგ ეფექტური და მოქნილი მექანიზმების სწრაფი რეალიზება;
- მსხვერპლთა დაცვა;
- ადრეული ინტერვენცია;
- მსხვერპლთა ხელშეწყობა, ახალი ცხოვრების დაწყებაში დახმარება;

იმის გათვალისწინებით, რომ ეფექტური სამოქმედო სტრატეგია უნდა შეიცავდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ადვილად ხელმისაწვდომ კომპლექსურ მომსახურებას, მნიშვნელოვანია კოორდინირებული საქმიანობის პრინციპების ჩამოყალიბება. ეს უნდა მოიცავდეს როგორც ამ სფეროში პოლიტიკის შექმნასა და შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვას, ისე არსებული პოლიტიკის კოორდინირებულ რეალიზებას, რაც პირველ ყოვლისა გულისხმობს სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობასა და ერთობლივ მოქმედებას. თანამშრომლობა და კოორდინირებული მოქმედება კი თავის მხრივ წარმოადგენს ეროვნული რეფერალური მექანიზმის ეფექტური განხორციელების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

რა არის ოჯახში ძალადობა

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (შემდგომში – ოჯახში ძალადობის კანონი) საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, “ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით”.
შესაბამისად, კანონის მიერ განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის ხუთი ფორმა:

- **ფიზიკური ძალადობა** (ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს);
- **ფსიქოლოგიური ძალადობა** (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას);
- **სექსუალური ძალადობა** (სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ);
- **ეკონომიკური ძალადობა** (ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას);
- **იძულება** (ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება –სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება).

ოჯახში ძალადობის კანონის ინტერესებისათვის „ოჯახის წევრის" ცნება გაფართოებულია ოჯახის ტრადიციული გაგებისაგან და მოიცავს შემდეგ პირებს: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე.

„ოჯახის წევრის"ცნებიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება ოჯახის სხვა წევრის მხრიდან, ხოლო მოძალადეს წარმოადგენს ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის პროცესში მონაწილე სუბიექტები

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის პროცესში (შემდგომში – რეფერირების პროცესში) მონაწილე სუბიექტებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში – საპატრულოპოლიცია) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახური (შემდგომში – საუბნო პოლიცია), სასამართლო ორგანოები, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდეგში – სახელმწიფო ფონდი), განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემის დაწესებულებები, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭო (შემდეგში – უწყებათაშორისი საბჭო), პროკურატურის ორგანოები, უფლებამოსილი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

საპატრულო/საუბნო პოლიცია – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სისტემაში მოქმედი სტრუქტურული და ტერიტორიული სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენას, აღკვეთას, შესაბამის სამართალწარმოებას, პრევენციას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და შემაკავებელი ორდერის გამოცემას;

სასამართლო ორგანოები – საქართველოს საერთო სასამართლო სისტემის ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შესაბამის საპროცესო სამართალწარმოებას, დამცავი ორდერის გამოცემასა და შემაკავებელი ორდერის დამტკიცებას.

სახელმწიფო ფონდი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს რეფერირების სისტემის კოორდინაციას, მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის გამართულად ფუნქციონირებას და რეფერირებას თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების სისტემაში.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებები – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და ტერიტორიული სამსახურები, ასევე ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები (პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, საავადმყოფოები, ფსიქიატრიული დაწესებულებები, საექსპერტო დაწესებულებები და ა.შ.), რომლებიც უზრუნველყოფენ ოჯახში ძალადობის გამოვლენას, პრევენციას, პირველად გადაუდებელ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას, ასევე – სოციალური მომსახურების ფუნქციის შესრულებას; საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ არასრულწლოვანთა მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციას.

უწყებათაშორისი საბჭო – უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მისი თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალდობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელის შეწყობასა და მათი საქმიანობის კოორდინაციას. უწყებათაშორისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს და ახორციელებს მონიტორინგს რეფერირების სისტემის მონაწილე არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ კრიზისული ცენტრით მომსახურების განხორციელებაზე.

პროკურატურის ორგანოები – თუ ოჯახში ძალადობის საქმე შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მხოლოდ მაშინ ერთვება საქმეში პროკურატურის ორგანოები.

უფლებამოსილი საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები – საქართველოში მოქმედი ის საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობისა და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიმართულებით, აქვთ აღნიშნულ სფეროში მუშაობის სათანადო გამოცდილება, მათი მომსახურება და შესათავაზებელი მომსახურების პირობები შეესაბამება რეფერალური სისტემისთვის დადგენილ სტანდარტებს და რეფერალური სისტემის მონაწილე სახელმწიფო სტრუქტურებთან მემორანდუმზე ხელმოწერით გამოხატავენ მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღონ მსგავს საქმიანობაში. კრიზისული ცენტრით მომსახურების განხორციელებისთვის შესაბამისი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაცია თანხმობისათვის მიმართავს უწყებათაშორის საბჭოს.

წინამდებარე ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში ოჯახში ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია წარმოდგენილია სამი ძირითადი საფეხურის გათვალისწინებით:

1. **ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაცია,**
2. **მსხვერპლის და მოძალადის იდენტიფიკაცია,**
3. **მსხვერპლის დაცვა და რეაბილიტაცია.**

ნაწილი პირველი

1. ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაცია

1.1 ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაცია გულისხმობს იმ სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენას, აღმოჩენასა და შეფასებაზე და მისი აღკვეთისათვის სათანადო პირველადი და გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებაზე.

ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაცია ხორციელდება როგორც უშუალოდ ძალადობის ჩადენის სავარაუდო ფაქტზე დაუყოვნებელი რეაგირებით, ისე ოჯახში ძალადობის იმ სავარაუდო ფაქტებზე რეაგირებით, რომელნიც ხორციელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში სისტემურად და მიზანმიმართულად, ძალადობის სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის გამოყენებით.

ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაციის აუცილებელი კომპონენტია ყველა იმ ქმედების (როგორც მოქმედების, ისე – უმოქმედობის) და იძულების ფაქტის ანალიზი და შეფასება, რაც ოჯახში ძალადობის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაციის განმახორციელებელი პირის (ორგანოს) მიერ იმ ხერხებისა და საშუალებების ანალიზი და შეფასება ხდება, რომელნიც გამოყენებული იქნა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისას.

1.2 ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია, მიეწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს (საპატრული/საუბნო პოლიციას), სასამართლოს, სახელმწიფო ფონდს, სახალხო დამცველის ინსტიტუტს, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ასევე აღნიშნულ საკითხზე მომუშავე, სათანადოდ უფლებამოსილ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს (შემდგომში – უფლებამოსილი საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციები). აღნიშნული ორგანოები/დაწესებულებები ვალდებულნი არიან, ოჯახში ძალადობის შესახებ სავარაუდო ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე მოახდინონ მათი კომპეტენციის შესაბამისი ადექვატური და ეფექტური რეაგირება.

1.3 საპატრულო/საუბნო პოლიცია

1.3.1 მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, თუ ვინ მიმართავს საპატრულო/საუბნო პოლიციას ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისათვის. საპატრულო/საუბნო პოლიცია, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს იმ პირის უსაფრთხოებას, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;

1.3.2. ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე საპატრულო პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე. ხოლო იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნული ფუნქციის განხორციელებას უზრუნველყოფენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული (საუბნო) სამსახურები;

1.3.3. საპატრულო პოლიციის გამოძახება ხდება 022 ოპერატორზე ოჯახში ძალადობის ფაქტის ან შესაძლო ასეთი ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. გამოძახების შემთხვევაში საპატრულო პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტზე დაუყოვნებლივი, ადეკვატური და ეფექტური რეაგირების მიზნით, ვალდებულია განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი და საჭირო ღონისძიება;

1.3.4. საუბნო პოლიციას ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისათვის უნდა მიმართოს განცხადებით და-

ზარალებულმა/სავარაუდო მსხვერპლმა, ოჯახის წევრმა ან სხვა, შესაბამისად უფლებამოსილმა, ორგანომ/დაწესებულებამ/პირმა და ასევე, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

1.3.5. საუბნო პოლიცია ვალდებულია განცხადების მიღებიდან კანონით დადგენილ ვადაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ოჯახში, სადაც ადგილი აქვს ძალადობას და გაესაუბროს ოჯახის წევრებს. საჭიროების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, ძალადობის რისკ ოჯახთან და ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღოს ასევე მეზობლების, ნათესავებისა და შესაბამისი ორგანოების/პირებისაგან. ოჯახში ძალადობის ფაქტზე პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიებები და მიღებული ინფორმაცია ფიქსირდება წერილობით;

1.3.6. შემთხვევის ადგილზე გამოცხადებისას პოლიციამ უმოკლეს ვადში უნდა მოახდინოს სამართალდარღვევის იდენტიფიკაცია და უნდა განსაზღვროს:

ა) რა სახის ძალადობას ჰქონდა ადგილი;

ბ) სიხშირის თვალსაზრისით ძალადობა იყო უეცარი, პირველადი თუ განმეორებადი;

გ) ძალადობა ხორციელდებოდა თუ არა თანმხლები მუქარით, სხეულის დაზიანებით, ან სხეულის დაზიანების მცდელობით,

დ) ადგილი ჰქონდა თუ არა ქონების დაზიანებას/განადგურებას და ა.შ.

ე) ძალადობას ახლდა თუ არა იარაღის გამოყენება, სხეულზე მნიშვნელოვანი/სერიოზული დაზიანების მიყენება,

ვ) ჰქონდა თუ არა ადგილი ძალადობას არასრულწლოვანის მიმართ;

ზ) მსხვერპლ(ებ)ისა და მოძალად(ებ)ის იდენტიფიკაცია;

თ)სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

1.3.7. საპატრულო პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ ადგენს ოქმს, რომელსაც წარუდგენს ზედამხედველ პროკურორს.

1.3.8. საუბნო პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტის შედეგად გამოვლენილ მოძალადეებს აღრიცხავს უბნის პასპორტში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ შემთხვევებს, რომელთა შედეგადაც ზარალდებიან არასრულწლოვნები.

1.3.9. პოლიციამ ოჯახში ძალადობის შემთხვევა უნდა მიიჩნიოს ძალადობის სხვა შემთხვევების მსგავს მნიშვნელოვან ფაქტად.

1.4. პროკურატურა

1.4.1. პოლიციის მიერ შედგენილი ოქმი, რომელიც შეიცავს ოჯახში ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციას, წარედგინება ზედამხედველ პროკურორს;

1.4.2. ზედამხედველი პროკურორის მიერ ხდება პოლიციის მიერ წარდგენილი შემაკავებელი ორდერისა და თანდართული ოქმის იმ თვალსაზრისით განხილვა, რომ გაირკვეს შეიცავს თუ არა ოჯახში მომხდარი ძალადობის ფაქტი სისხლისსამართლის დანაშაულის ნიშნებს, რომელიც საჭიროებს დამატებითი კანონისმიერი ზომების გატარებას;

1.4.3. შემაკავებელი ორდერის თანდართულ ოქმში სისხლისსამართლის დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ზედამხედველი პროკურორი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

ნაწილი მეორე

2. მსხვერპლის და მოძალადის იდენტიფიცირება

2.1. ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიკაცია.

2.2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხს წყვეტს საპატრულო/საუბნო პოლიცია ან სასამართლო, ხოლო ასეთი ორგანოებისადმი მიუმართავობის შემთხვევაში ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიკაციას ასევე ახორციელებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი;

2.3. ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთან პირველადი შეხება შეიძლება ჰქონდეს საპატრულო პოლიციას, საუბნო პოლიციას, უფლებამოსილ საერთაშორისო/ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას, სოციალურ მუშაკს, სახელმწიფო ფონდს, სამედიცინო დაწესებულებას, საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას, სახალხო დამცველის ინსტიტუტს;

2.4. ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შესაბამისი ორგანოებისთვის/დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდების ან სავარაუდო მსხვერპლის მიერ თვითიდენტიფიცირების შემთხვევაში, ინფორმაციის მიმღები ორგანიზაცია/დაწესებულება ვალდებულია, მოახდინოს მათი კომპეტენციის შესაბამისი ადეკვატური და ეფექტური რეაგირება.

2.5. საპატრულო/საუბნო პოლიცია

2.5.1. საპატრულო/საუბნო პოლიცია 1.3.5. მუხლით განსაზღვრული ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირების პროცედურების შემდეგ ოჯახში ძალადობის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ახდენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირებას.

2.5.1. საპატრულო/საუბნო პოლიციის მოვალეობაა უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის პრევენცია, აღკვეთოს ძალადობა, განაცალკევოს მხარეები, დაადგინოს მსხვერპლი და მოძალადე;

2.5.2. შემთხვევის ადგილზე მისული საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, დაკითხვის სპეციალური ხერხით დაკითხონ კონფლიქტის მონაწილე სავარაუდო მსხვერპლი/მსხვერპლები და სავარაუდო მოძალადე/მოძალადეები. დაკითხვის სპეციალური ხერხი გულისხმობს შემდეგს: კონფლიქტის მონაწილეები ერთმანეთთან დგებიან იმ პოზიციაში, რომ სახით ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. შესაძლებლობის შემთხვევაში მიზანშეწონილია კონფლიქტის მონაწილეების სხვადასხვა ოთახებში დაკითხვა. აუცილებელია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ერთმანეთი მხედველობის არედან არ დაკარგონ და ერთმანეთთან მუდმივი ვიზუალური კონტაქტი ჰქონდეთ. სავარაუდო მსხვერპლს დაკითხავს ერთი პოლიციელი, ხოლო სავარაუდო მოძალადეს – მეორე. შემდეგ პოლიციელები ცვლიან ერთმანეთს და ანაცვლებენ პოზიციებს, კერძოდ, ის, ვინც კითხავდა სავარაუდო მსხვერპლს, დაკითხავს სავარაუდო მოძალადეს და პირიქით. პოზიციების გაცვლისას კონფლიქტის მონაწილეები, პოლიციელების მითითების თანახმად, ადგილზე რჩებიან, ხოლო პოლიციელები ახალ პოზიციას იკავებენ ისე, რომ მხედველობის არედან არ კარგავენ არც ერთმანეთს და არც კონფლიქტის მონაწილეებს.

გარდა სავარაუდო მსხვერპლისა და სავარაუდო მოძალადისა, იკითხებიან ოჯახში მყოფი სხვა პირები, მოწმეები და ასევე, შესაძლებელია დაიკითხონ მეზობლებიც. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები, დაკითხვის დასრულების შემდეგ, ისე, რომ მხედველობის არეში ჰყავთ კონფლიქტის მონაწილე მხარეები (სავარაუდო მსხვერპლი და სავარაუდო მოძალადე), ცვლიან ჩვენებების საფუძველზე მოპოვებულ ინფორმაციას.

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე პოლიცია ახდენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/მსხვერპლებისა და ოჯახში ძალადობის მოძალადის/მოძალადეების იდენტიფიცირებას და ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კონფლიქტში მონაწილე პირები და მოწმეები.

2.5.3. საუბნო პოლიცია ვალდებულია განცხადების მიღებიდან კანონით დადგენილ ვადაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რაც გამოიხატება ოჯახში, სადაც ადგილი აქვს ძალადობას, გამოცხადებაში და ოჯახის წევრებთან გასაუბრებაში; საუბნო პოლიციის წარმომადგენელი უფლებამოსილია გამოკითხოს კონფლიქტის მონაწილე სავარაუდო მსხვერპლი/მსხვერპლები და სავარაუდო მოძალადე/მოძალადეები; უბნის ინსპექტორს უფლება აქვს კონფლიქტის მონაწილე სავარაუდო მსხვერპლთან/მსხვერპლებთან და სავარაუდო მოძალადესთან/მოძალადეებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღოს მეზობლებისგანაც; და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის წევრებზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მიმართოს შესაბამის ორგანოებს/პირებს; ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უბნის ინსპექტორი ახდენს მსხვერპლის/მსხვერპლებისა და მოძალადის/მოძალადეების იდენტიფიცირებას. უბნის ინსპექტორი ავლენს და აღრიცხავს უბნის პასპორტში იმ პირებს, რომლებიც ჩადიან ძალადობას ოჯახში;

2.5.4. საპატრულო პოლიციას უფლება აქვს, ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში მსხვერპლი/მსხვერპლები და მასზე დამოკიდებული პირები, მათი სურვილის შემთხვევაში, გადაიყვანოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში.

2.6. საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი

2.6.1. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის არ გამოიყენება „ოჯახში ძალადობის კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული მექანიზმები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის პირველადი იდენტიფიცირებისა და სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის განსაზღვრის საკითხს იხილავს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი (შემდგომში – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი) შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტის მიმართვიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში;

2.6.2. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი იქმნება ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ;

2.6.3. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი შედგება არანაკლებ 3 პირისაგან, რომელთა შორის უნდა იყვნენ სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და იურისტი;

2.6.4. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი პირისათვის ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი ორგანიზაციებისაგან წარმოდგენილი ინფორმაციისა და შევსებული სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარების საფუძველზე; იდენტიფიცირების ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს სავარაუდო მსვერპლს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად;

2.6.5. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი პირისათვის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა ორი მესამედით;

2.6.6. უფლებამოსილი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრებისას ივსება სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარი, რომელიც წარედგინება მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს და რომლის საფუძველზეც აღნიშნული ჯგუფი განიხილავს პირისათვის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის საკითხს;

2.6.7. სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ სავარაუდო მსხვერპლი გამოთქვამს სურვილს თავშესაფარში მოთავსების თაობაზე, იგი შესაძლებელია გადაყვანილ იქნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში;

2.6.8. მსხვერპლის სტატუსის განმსაზვრელი ჯგუფი სავარაუდო მსხვერპლებისა და მიღებული ზომების შესახებ სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო ფონდს.

2.7. უფლებამოსილი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია

2.7.1. ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისათვის უფლებამოსილ საერთაშორისო ან/და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია მიმართოს დაზარალებულმა/სავარაუდო მსხვერპლმა, ოჯახის წევრმა როგორც განცხადებით, ისე ზეპირი ფორმით; უფლებამოსილი საერთაშორისო/ არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღეში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რაც მოიცავს შემდეგს:

– უფლებამოსილი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია სავარაუდო მსხვერპლს ავსებინებს სპეციალურ კითხვარს;
– უფლებამოსილი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია მოიპოვებს დამატებით ინფორმაციას (სავარაუდო მსხვერლისა და ოჯახის სხვა წევრების გამოკითხვის გზით);
– უფლებამოსილი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია მიწვდის მოპოვებულ ინფრომაციას და შევსებულ კითხვარს მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს.

2.7.2. უფლებამოსილი საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაცია ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ ოჯახებთან დაკავშირებით ინფორმაციას იღებს მხოლოდ ოჯახის წევრებისაგან; შესაბამისად, ასეთი ორგანიზაცია უფლებამოსილია გამოკითხოს მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე სავარაუდო პირი (პირები) - სავარაუდო მსხვერპლი (მსხვერპლები) და სავარაუდო მოძალადე (მოძალადეები); უფლებამოსილ საერთაშორისო ან/და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას უფლება აქვს, მივიდეს სავარაუდო მსხვერპლის ოჯახში სავარაუდო მოძალადისგან და ოჯახის სხვა წევრებისგან ინფორმაციის მისაღებად. ოჯახში შესვლა დასაშვებია მხოლოდ მეორე მხარის ნებისა და თანხმობის საფუძველზე. უფლებამოსილ საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციას უფლება არ აქვს, გამოიყენოს ძალისმიერი მეთოდები და საშუალებები ოჯახში შესაღწევად;

2.7.3. უფლებამოსილ საერთაშორისო/ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას უფლება აქვს, მსხვერპლის თანხმობის შემთხვევაში, საქმეში ჩართოს უბნის ინსპექტორი, რომელსაც, თავის მხრივ, უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართოს მეზობლებს, შესაბამის ორგანოებს/პირებს; ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უფლებამოსილი საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაცია ახდენს ოჯახური დავების მიზეზების შესწავლას და შესაბამის ანალიზს, რომელსაც აფიქსირებს წერილობით.

2.7.4. სავარაუდო მსხვერპლი (მასზე დამოკიდებული პირები) სტატუსის განსაზღვრამდე, მისი სურვილის შემთხვევაში, იმყოფება ანტიკრიზისულ ცენტრში

2.8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

2.8.1. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა ეჭვს იწვევს, რომ მის ოჯახში ადგილი აქვს ძალადობას, რაც აისახება ბავშვის როგორც ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე, ასევე, მის განვითარებაზე და მეგობრებთან და პედაგოგებთან ურთიერთობებზე, მაშინ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანო/ებს ან სამართალდამცავ ორგანოებს;

2.8.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დასახმარებლად მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ არასრულწლოვანის ოჯახში ადგილი აქვს სერიოზულ ძალადობას, რომლის იდენტიფიკაციისა და შემდგომი პრევენციისთვის მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების ჩართვა;

2.9. სახალხო დამცველის ინსტიტუტი

ოჯახში ძალადობის ფაქტის, მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირებისათვის მიმართავს სამა-რთალდამცავ ორგანოებს, სახელმწიფო ფონდს.

2.10 სამედიცინო დაწესებულება – იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის ფიზიკური დაზიანებები/ტრამვები/ მოწამვლა ან/და სხეულის ან მისი ცალკეული ნაწილის სხვაგვარი დაზიანება ეჭვს იწვევს, რომ აღნიშნული შესაძლოა, მიღებული იყოს ოჯახში ძალადობის შედეგად, ან თავად პაციენტი მიუთითებს ამგვარ ძალადობრივ ქმედებაზე, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს; სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია სახელმწიფო ფონდისა და ცხელი ხაზის შესახებ.

2.11. არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ ინფომრაციის მიღების შემთხვევაში უფლებამოსილი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის ინსტიტუტი, სამედიცინო დაწესებულებები დაუყოვნებლივ აწვდიან ინფორმაციას მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს ან/და სამართალდამცავ ორ-განოებს.

ნაწილი მესამე

3. ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები

3.1. ოჯახში ძალადობის პრევენცია ხორციელდება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის (მუხლი 6,7,8) შესაბამისად გათვალისწინებული მექანიზმების საფუძველზე და მოიცავს იმ სოციალურ, ეკო-ნომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისაკენ, ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთის, მოძალადის სამართლებრივი დევნისა და მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისაკენ.

3.2. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარ-გლებში უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამ-ინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მე-ცნიერების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სასამართლო ორგანოები, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭო, ასე-ვე უფლებამოსილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამოქალაქო სა-ზოგადოების სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების წარმომადგენლები. პრევენციის ღონისძიებების მიზნით იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი პროექტები.

3.3. ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები გულისხმობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულ და ადაპტირებულ იმ სისხლისსამართლებრივ, სამო-ქალაქო-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს, რომელნიც მიმა-რთულია ოჯახში ძალადობის გამოვლენაზე, აღკვეთაზე, პასუხისმგებლობის დაკისრებასა და მი-ყენებული ზიანის ანაზღაურებაზე და გამოიყენება ოჯახში ძალადობის ფაქტის სიმძიმის, შინაარსისა და საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატურად.

დამცავი და შემაკავებელი ორდერები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, დროებითი ღონისძიების სახით, გამოიყენება დამცავი და შემაკავებელი ორდერები. აღნიშნული ორდერები გამოიცემა უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და მოძალადეთათვის გარკვეული მოქმდებების შეზღუდვას.
დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც, გამოცემიდან კანონით დადგენილი დროის განმავლობაში, დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემა/დამტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონისა და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე.

ნაწილი მეოთხე

4. მსხვერპლის დაცვა და რეაბილიტაცია

4.1. რეფერალური მექანიზმის ნაწილია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა ტიპის მომსახურების გაწევა. აღნიშნული ხორციელდება სახელმწიფოსა და უფლებამოსილ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის დოკუმენტით განსაზღვრული პრინციპებისა და მექანიზმების საფუძველზე.

4.2. მსხვერპლის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

4.3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უფლება აქვს, ისარგებლოს უფასო ფსიქო-სოციალური და იურიდიული დახმარებით. ამ დახმარებისა და დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციების შესახებ მსხვერპლს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ფონდი, უფლებამოსილი საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაცია, სახალხო დამცველის ინსტიტუტი.

4.4. კრიზისული ცენტრი არის ოჯახში ძალადობის შესაძლო მსხვერპლთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების მიზნით შექმნილი დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასა და სამართლებრივ მომსახურებას.

4.4.1. კრიზისული ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტიპის დაწესებულებისათვის განსაზღვრულ სტანდარტებს;

4.4.2. კრიზისული ცენტრის ბინადარი არის ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, რომელმაც მიმართა რეფერირების სისტემით გათვალისწინებულ დაწესებულებას/ორგანიზაციას/ორგანოს და რომელიც განთავსდა კრიზისულ ცენტრში (შემდგომში – "ბინადარი");

4.4.3. კრიზისულ ცენტრში ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის განთავსება ხდება არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. თუ ამ პერიოდში სავარაუდო მსხვერპლს განესაზღვრება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, მისი თანხმობის საფუძველზე იგი შესაძლებელია გადაყვანილ იქნას ოჯახში

ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსხვერპლი ვალდებულია, დატოვოს კრიზისული ცენტრი, თუმცა მას უფლება აქვს, ისარგებლოს კრიზისული ცენტრის სხვა მომსახურებით. იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო მსხვერპლი მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ არ იქნება ცნობილი „მსხვერპლად" , იგი დაუყოვნებლივ ტოვებს კრიზისულ ცენტრს.

4.4.4. კრიზისულ ცენტრში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის განთავსება ხდება არაუმეტეს 6 დღე-ღამისა. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მსხვერპლი ვალდებულია, დატოვოს კრიზისული ცენტრი, თუმცა მას უფლება აქვს, ისარგებლოს კრიზისული ცენტრის მომსახურებით.

4.4.5. კრიზისული ცენტრი უზრუნველყოფს მასში განთავსებულ პირთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასა და სამართლებრივ მომსახურებას, რაც მოიცავს:

– ფსიქოლოგიურ დახმარებას,
– რესოციალიზაციის პროცესში ხელშეწყობას,
– სამედიცინო კონსულტაციას,
– გადაუდებელ და პირველად სამედიცინო მომსახურებას,
– იურიდიულ კონსულტაციას,
– სასამართლო წარმომადგენლობას დამცავი ორდერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

4.5. თავშესაფარი

4.5.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლად პირის იდენტიფიცირების შემდეგ ამ პირს ეძლევა უფლება, ისარგებლოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლით (თავშესაფრით);

4.5.2. საპატრულო პოლიციას უფლება აქვს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მსხვერპლები და მასზე დამოკიდებული პირები, მათი სურვილის შემთხვევაში, გადაიყვანოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში;

4.5.3. მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ სავარაუდო მსხვერპლი გამოთქვამს სურვილს თავშესაფარში მოთავსების თაობაზე, იგი შესაძლებელია სახელმწიფო ფონდთან კოორდინაციით გადაყვანილ იქნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში; სახელმწიფო ფონდთან კოორდინაცია გულისხმობს სახელმწიფო ფონდისთვის შეტყობინებას თავშესაფრის საჭიროების თაობაზე და სახელმწიფო ფონდისგან მსხვერპლის მოსათავსებლად შესაბამისი თანხმობის მიღებას.

4.5.4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი) უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

4.5.5. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი) ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ –სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას;

4.5.6. თავშესაფარში მსხვერპლის განთავსება ხდება მხოლოდ მისი თანხმობის საფუძველზე;

4.5.7. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი უზრუნველყოფს შემდეგი სახის მომსახურებასა და პირობებს:

ა) ღირსეული არსებობისათვის შესაფერის, უსაფრთხო საცხოვრებელ ადგილს;
ბ) საკვებსა და ტანსაცმელს;
გ) პირველად სამედიცინო დახმარებას;
დ) ფსიქოლოგიურ კონსულტაციას;
ე) იურიდიულ დახმარებასა და სასამართლო წარმომადგენლობას;
ვ) რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხანმოკლე და გრძელვადიან პროგრამებში (პროფესიული სწავლებისა და საგანმანათლებლო პროგრამები, ხელშეწყობა დასაქმებაში) ჩართვაში ხელშეწყობას;

4.5.8 თავშესაფარში სრულწლოვანი მსხვერპლისმოთავსება ხდება მისი ასაკისა და სქესის გათვალისწინებით, ინდივიდუალური კონტრაქტის საფუძველზე. ხოლო არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში, საქმეში ერთვება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც მონაწილეობს როგორც არასრულწლოვანის წარმომადგენელი.

4.5.9. თავშესაფრის დატოვება შესაძლებელია ნებაყოფლობით მსხვერპლის მიერ, ვადის ამოწურვამდე.

4.5.12. თავშესაფარში ყოფნის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელდება თავშესაფრის შინაგანაწესით (დებულებით) დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლს არ სურს ვადის გაგრძელებათავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად;თავშესაფრის ფუნქციონირება ხორციელდება თავშესაფრის შინაგანაწესის საფუძველზე;

4.5.13. შინაგანაწესი უნდა შეესაბამებოდეს თავშესაფრის დადგენილ სტანდარტებს და მისი შესრულება სავალდებულოა პერსონალისა და მსხვერპლთათვის;

4.5.14. შინაგანაწესის დარღვევა შეიძლება გახდეს პერსონალის ან მსხვერპლისათვის კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი;

4.5.15. თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია, დაიცვას მსხვერპლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კონფიდენციალურობა. მონაცემების გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

11

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება
№ 304 2009 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009–2010 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტიანი და მრავალმხრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და ამ პრობლემის წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დამტკიცდეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009–2010 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

2. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა განახორციელოს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭომ (შემდგომში -საუწყებათაშორისო საბჭო).

3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა სამთავრობო სტრუქტურებმა მოამზადონ სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ კვარტალური ანგარიშები და სამ თვეში ერთხელ წარუდგინონ საუწყებათაშორისო საბჭოს.

4. საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ საქმიანობის მონიტორინგის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით, დასახული მიზნების მიღწევის გზების დახვეწის მიზნით, სამოქმედო წლის ბოლოს შესაძლებელია სამოქმედო გეგმის კორექტირება.

5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებულ გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს ეთხოვოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა და თანამშრომლობა საუწყებათაშორისო საბჭოსა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის უწყებებთან.

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 აპრილის NNN 304 განკარგულებით

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009–2010 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	ინდიკატორი
1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა	1.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ეროვნული რეფერალური მექანიზმის (შემდგომში – ეროვნული რეფერალური მექანიზმი) ჩამოყალიბება	1.1.1 ეროვნული რეფერალური მექანიზმის შემუშავება	ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო (შემდგომში - საუწყებათაშორისო საბჭო), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში - ფონდი) (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2009	ეროვნული რეფერალური მექანიზმის მარეგულირებელი დოკუმენტი
	1.2 ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში საკანონმდებლო ბაზის დახვეწა	1.2.1 "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების მომზადება და კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი განხილვის პროცედურების დაწყების ლობირება.	საუწყებათაშორისო საბჭო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	მომზადებული ცვლილებათა პაკეტი
		1.2.2 მოქმედი სოციალური მუშაკების დროებითი სტატუსის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ლეგიტიმაცია.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი	გეგმის განხორციელების განმავლობაში	დროებითი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტი
		1.2.3 სოციალურ მუშაკად გადამზადების პროგრამის მომზადება და ინსტიტუციონალიზება.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2010	ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული პროგრამა განათლების სამინისტროს მიერ შესაბამისი რეგულაციების მომზადება

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 აპრილის NNN 304 განკარგულებით

		1.2.1 "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების მომზადება და კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი განხილვის პროცედურების დაწყების ლობირება.	საუწყებათაშორისო საბჭო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	მომზადებული ცვლილებათა პაკეტი
		1.2.2 მოქმედი სოციალური მუშაკების დროებითი სტატუსის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ლეგიტიმაცია.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი	გეგმის განხორციელების განმავლობაში	დროებითი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტი
		1.2.3 სოციალურ მუშაკად გადამზადების პროგრამის მომზადება და ინსტიტუციონალიზება.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2010	ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული პროგრამა განათლების სამინისტროს მიერ შესაბამისი რეგულაციების მომზადება
		1.2.4 კანონმდებლობისა და შესაბამისი პრაქტიკის შეფასება ოჯახში ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	საუწყებათაშორისო საბჭო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მომზადებული დასკვნა
	1.3 ოჯახში ძალადობის მასშტაბების კვლევა	1.3.1 ოჯახში ძალადობის შემთხვევების აღრიცხვა 1.3.2. ოჯახში ძალადობის შემთხვევების ანალიზი მსხვერპლთა ანონიმურობის დაცვით, მიმდინარე გამოძიებების ჩათვლით	შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ფონდი	გეგმის განხორციელების განმავლობაში	ოჯახში ძალადობის შემთხვევების რაოდენობა (სტატისტიკური მაჩვენებელი) და მომზადებული

		1.3.3. ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი ანალიზი 1.3.4. მსხვერპლთა ანონიმური კვლევა მათი წარმოშობის რეგიონის, მსხვერპლად გახდომის მიზეზების გამოკვლევის აქცენტირებით.	საუწყებათაშორისო საბჭო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).		შესაბამისი ანალიზი
2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია	2.1 ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება/განვითარება და დანერგვა	2.1.1 ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების განხორციელების მექანიზმების გაუმჯობესება, ეროვნული რეფერალური მექანიზმის დანერგვა	საუწყებათაშორისო საბჭო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ფონდი. (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	მოქმედი ეროვნული რეფერალური მექანიზმი
		2.1.2 ეროვნული რეფერალური მექანიზმის დანერგვისა და ოჯახში ძალადობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით სპეციალური ტრენინგების ჩატარება, მათი მუშაობის სპეციფიკის გათვალისიწნებით, შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისათვის: ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის (საუბნო და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები); ბ) იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისათვის (პროკურორები); გ) მოსამართლეებისათვის; დ) სოციალური მუშაკებისათვის; ე) ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მუშაკების, მათ შორის ფსიქოლოგებისათვის; ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებისათვის; ზ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისათვის; თ) ბავშვთა მომსახურებების დაწესებულებების პერსონალისათვის;	საუწყებათაშორისო საბჭო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, მსმენელთა რაოდენობა

ფაბრიკიანი ლაბორატორიული ანალიზი ამბულატორიული
2009 წლის 23 აპრილის NNN 304 ბრძანებაზე დანართი

		ი) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სფეროში მომუშავე სერვისის მიმწოდებლებისათვის; კ) სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელთათვის; ლ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისათვის.	საუწყებათაშორისო საბჭო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, მსმენელთა რაოდენობა
		2.1.3 ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების შექმნის ხელშეწყობა და საქმიანობის კოორდინირება;	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	თავშესაფრების რაოდენობა, თავშესაფრებში მსხვერპლებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა
		2.1.4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და შესაბამისი საქმიანობის კოორდინირება	უწყებათაშორისო საბჭო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2010	მომზადებული სარეაბილიტაციო პროგრამა
		2.1.5 ერთიანი სატელეფონო "ცხელი ხაზის" შექმნა; განხორციელებული ზარებით დაფიქსირებული ოჯახში ძალადობის შემთხვევების აღრიცხვა, კლასიფიკაცია/სისტემატიზაცია; 2.1.6 სატელეფონო ცხელი ხაზის ოპერატორების მომზადება.	ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	მოქმედი ცხელი ხაზი; შემოსული ზარებისა და მომზადებული ოპერატორების რაოდენობა.
		2.1.7. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, მათ შორის არასრულწლოვანთა, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	რეაბილიტირებული მსხვერპლების რაოდენობა
	2.2 ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის საშუალებების	2.2.1 დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების მონიტორინგის პროგრამის შემუშავება და დანერგვა	საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2010	მომზადებული და მოქმედი პროგრამა

	გაძლიერება.	2.2.1 დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების მონიტორინგის პროგრამის შემუშავება და დანერგვა	(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2010	მომზადებული და მოქმედი პროგრამა
		2.2.2 შინაგან საქმეთა სამინისტროში "ცხელი ხაზით" შემოსული ოჯახში ძალადობის შემთხვევების აღრიცხვა, კლასიფიკაცია/სისტემატიზაცია; ოპერატორების მომზადება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო	გეგმის განხორციელების განმავლობაში	შემოსული ზარებისა და მომზადებული ოპერატორების რაოდენობა
3. ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის საკითხების მიმართ ცნობიერების დონის ამაღლება	3.1. ოჯახში ძალადობის პრევენციის მეთოდების გაუმჯობესება	3.1.1 ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავება	საუწყებათაშორისო საბჭო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2010	მომზადებული კონცეფცია
	3.2 ეროვნული რეფერალური მექანიზმის გაცნობისა და დანერგვისათვის შესაბამისი საინფორმაციო საქმიანობის უზრუნველყოფა	3.2.1. საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა: ა) თემატური ვიდეო რგოლების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების მომზადება. ბ) საინფორმაციო მასალის მომზადება და გავრცელება;	საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	ცნობიერების ამაღლების კამპანიისთვის ვიდეო რგოლების, რადიო-ტელეგადაცემების რაოდენობა; მეორე წლის მაჩვენებლები: მეორე წლის შედეგების შედარება პირველი წლის შედეგებთან. პროგრესის მაჩვენებელი
		3.2.2. საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის.	საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	გეგმის განხორციელების განმავლობაში	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა

ფაქტობრივი ოჯახური ძალადობის აღკვეთის ბრძანება
2009 წლის 23 აპრილის NNN 304 ბრძანებაზე ცვლილების

12

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 625
2008 წლის 26 დეკემბერი ქ.თბილისი

ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ

1. შეიქმნას ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ლალი ფაფიაშვილი	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარე
ირაკლი გიორგობიანი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე
ეკატერინე ზღულაძე	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე
ნინო კალანდაძე	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე
თამარ კინწურაშვილი	საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი
დიმიტრი ძაგნიძე (6.07.2009 N 382)	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე
ირინე ქურდაძე (27.10.2009 N 755)	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
ქეთევან ხუციშვილი	დამოუკიდებელი ექსპერტი

2. ეთხოვოთ საუწყებათაშორისო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა: (12.10.2009 N 705)

ლელა ბაქრაძეს	(UNFPA) გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენელს
დოროთი ბელს	აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურ–ეკონომიკურ ასისტენტს
კობა ბოჭორიშვილს	კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის თავმჯდომარეს
ია დადუნაშვილს	შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს
გიორგი ვაშაკიძეს	აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კანონის უზენაესობის პროექტის სპეციალისტს

მარინა თაბუკაშვილს	ფონდ „ტასოს“ თავმჯდომარეს
რუსუდან კერვალიშვილს	საქართველოს პარლამენტიტს თავმჯდომარის მოადგილე
დონალდ კეროლს	აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურ ოფიცერს
ჯოი დევის კიჩნერს	აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურ ოფიცერს
ირინა ლორთქიფანიძეს	ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს
ნათია იმნაძეს	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს
თამარ საბედაშვილს	(UNIFEM) გაეროს ქალთა ფონდის წარმომად-გენელს
ნათია ფარცხალაძეს	გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს
მელინდა ფონტეინს	აშშ საელჩოს პოლიტიკურ ოფიცერს
რუსუდან ფხაკაძეს	არასამთავრობო ორგანიზაცია „სახლის“ თავმჯდომარეს
ნინო ქოჩიშვილს	საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელს
ნატო შავლაყაძეს	ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის თავმჯდომარეს
ნათია ჩერქეზიშვილს	(UNDP) გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელს
ხათუნა ჭითანავას	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს
მარკ ჰულსტს	საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრეფიკინგის საწინააღმდეგო პროგრამის ოფიცერს.

3. დამტკიცდეს საუწყებათაშორისო საბჭოს თანდართული დებულება.
4. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2008 წლის 26 დეკემბრის
N 625 ბრძანებულებით

ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო (შემდეგში – საუწყებათაშორისო საბჭო) შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
2. საუწყებათაშორისო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.
3. საუწყებათაშორისო საბჭოს სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. საუწყებათაშორისო საბჭოს სტრუქტურა

1. საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა და ბრძანებულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
2. საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად შედიან შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, ამავე სფეროს სპეციალისტები და მეცნიერები.
3. საუწყებათაშორისო საბჭოს საქმიანობაში საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით შეიძლება მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები, სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელები, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
4. საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობიდან წევრის გამოწვევა ხდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით ან საუწყებათაშორისო საბჭოს წევრის წარმდგენი ორგანოს წინადადებით.

მუხლი 3. საუწყებათაშორისო საბჭოს ამოცანები

საუწყებათაშორისო საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

ა) ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მისი თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელის შეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის, ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის თაობაზე წინადადებების შემუშავება და საქართველოს პრეზიდენტისათვის განსახილველად წარდგენა;

გ) ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო სექტორთან, ამ პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე ერთობლივი წინადადებების შემუშავება საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენად;

დ) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი.

მუხლი 4. საუწყებათაშორისო საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

1. საუწყებათაშორისო საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს და საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომებს წარმართავს საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობიდან ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით ახორციელებს საუწყებათაშორისო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
3. საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ. (5.10.2009 N664)
4. საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარემ შეიძლება საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომები საჭიროებისამებრ მოიწვიოს დადგენილ ვადაზე ადრე.
5. საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომის მომზადებას უზრუნველყოფს საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომის მდივანი.
6. საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარეს და საუწყებათაშორისო საბჭოს წევრებს.
7. საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საუწყებათაშორისო საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
8. საუწყებათაშორისო საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
9. საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 41. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი (5.10.2009 N664)

1. საუწყებათაშორისო საბჭო თავისი ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ქმნის საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებულ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს (შემდეგში – „მსხვერპლის იდენტითფიცირების ჯგუფი“), რომელიც შედგება კოორდინატორისა და ექსპერტებისაგან.
2. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საუწყებათაშორისო საბჭო.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

საუწყებათაშორისო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

13

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
N 665 2009 წლის 5 ოქტომბერი ქ. თბილისი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების თანდართული წესი.
2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. სააკაშვილი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი ადგენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიან წესს, განსაზღვრავს მსხვერპლის იდენტიფიცირებაში მონაწილე სუბიექტებს, მათ კომპეტენციას.

მუხლი 2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირების უფლებამოსილი სუბიექტები

1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიკაციას, თავისი კომპეტენციის გათვალისწინებით, კანონმდებლობის დადგენილი წესით ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახური და სასამართლო.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ორგანოები მსხვერპლის იდენტიფიკაციას ახდენენ კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავიანთი უფლებამოსილების შესაბამისად, დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის გზით.
3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ორგანოებისადმი მიუმართაობის შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიკაციას ასევე ახდენს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი (შემდეგში – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი).

მუხლი 3. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი

1. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი იქმნება ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განხორციელებული საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ.
2. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი შედგება არანაკლებ 3 პირისაგან, მათ შორის სოციალური მუშაკის, ფსოქოლოგისა და იურისტისაგან.
3. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, საიდენტიფიკაციო კითხვარის მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი სავარაუდო მსხვერპლებისა და მიღებული ზომების შესახებ სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს (შემდეგში – სახელმწიფო ფონდი).
5. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის წევრები ვალდებული არიან უზრუნველყონ სავარაუდო მსხვერპლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კონფიდენციალობის მისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების, ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის მიუხედავად.

მუხლი 4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ

1. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის არ გამოიყენება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 თავით გათვალისწინებული დამცავი შემაკავებელი ორდერები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის პირველადი იდენტიფიცირებისა და სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის განსაზღვრის საკითხს იხილავს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტის მიმართვიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
2. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი პირისათვის ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი ორგანიზაციებისაგან წარმოდგენილი ინფორმაციისა და შევსებული სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარების საფუძველზე; მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს სავარაუდო მსხვერპლს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.
3. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი პირისათვის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა ორი მესამედით.
4. სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარი ივსება უფლებამოსილი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების შედეგად, რომელიც წარედგინება მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს, მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი აღნიშნული კითხვარის საფუძველზე განიხილავს პირისათვის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის საკითხს.
5. სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ სავარაუდო მსხვერპლი გამოთქვამს სურვილს თავშესაფარში მოთავსების თაობაზე, იგი შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში, ხოლო სტატუსის განსაზღვრამდე, მისი სურვილისამებრ, შესაძლებელია განთავსდეს კრიზისულ ცენტრში.
6. სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭებისას მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი მას აწვდის ინფორმაციას თავშესაფრით, კრიზისული ცენტრითა და სხვა პროგრამებით სარგებლობის შესახებ.
7. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ფონდს.

14

(სსმ 29.07.2008 N 107 მუხ. 1190)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
470.230.000.22.035.012.074

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 183/ნ 2008 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

"ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ"

"ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით, ვბრძანებ:
1. დამტკიცდეს:
ა) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) აუცილებელი მინიმალური სტანდარტები (დანართი 1);
ბ) მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები (დანართი 2).
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. კვიტაშვილი

დანართი 1

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) აუცილებელი მინიმალური სტანდარტები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მინიმალური სტანდარტები შემუშავებულია "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და ადგენს მოთხოვნებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) მოწყობისა და ექსპლუატაციისადმი.
2. თავშესაფარი წარმოადგენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელს.
3. თავშესაფრის სანიტარიული რეჟიმი, დაწესებულების შიდა გარემო და საყოფაცხოვრებო პირობები უნდა უზრუნველყოფდეს მასში მცხოვრები პირების დაცვას, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ფსიქო-სამედიცინო რეაბილიტაციას, ინფექციური და არაინფექციური დაავადებების პროფილაქტიკას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. თავშესაფარი – ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დაცვის ღონისძიებებს.
2. თავშესაფრის მკვიდრი – ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, რომელმაც მიმართა თავშესაფარს და მიღებულ იქნა საცხოვრებლად (შემდგომში "მკვიდრი").

მუხლი 3. მოთხოვნები ტერიტორიისა და შენობისადმი

1. თავშესაფარი უნდა იყოს სათანადოდ დაცული.
2. მიმღები პუნქტი განთავსებული უნდა იყოს დაცვის პოსტთან ახლოს ან მასთან ერთად. მის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს:
ა) ვესტიბიული გარდერობითა და მკვიდრთა პირადი ნივთების დროებით შესანახი კამერით;
ბ) ოთახი მორიგე პერსონალისათვის;
გ) ოთახი ან ტიხრით გამოყოფილი სათავსი შემომსვლელთა ტანსაცმლის გამოსაცვლელად.
3. თავშესაფარში უნდა იყოს აგრეთვე, შემდეგი სათავსები: საცხოვრებელი (საძინებლებლები), სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო და კვების ბლოკები.
4. თავშესაფრის შენობა უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს: ცივი და ცხელი წყალმომარაგება, კანალიზაცია, გათბობა, ვენტილაცია, ენერგომომარაგება.
5. საძინებელი ოთახები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ერთ ოთახში განთავსდეს ერთი სქესის არა უმეტეს 2 პირისა. ასეთი სათავსების ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 მ2-ს ერთ პირზე.
6. მშობლებისა და შვილებისათვის (3-4 სული) განკუთვნილი ოთახების ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15-20 მ2-ს.
7. საცხოვრებელი ოთახების განთავსება სარდაფებსა და ცოკოლის სართულზე დაუშვებელია.
8. საცხოვრებელი ოთახები სასურველია აღიჭურვოს სანიტარიული კვანძით (ხელსაბანი, საშხაპე, ტუალეტი). ასეთის არარსებობისას საერთო სანიტარიული კვანძი უნდა აღიჭურვოს შემდეგი გაანგარიშებით: 2 უნიტაზი და 2 საშხაპე კაბინა ყოველ 10 პირზე, ხელსაბანები ტუალეტსა და საშხაპეში – არანაკლებ 2 ნიჟარისა 10 პირზე გადაანგარიშებით;
9. სანიტარიულ კვანძებში გათვალისწინებული უნდა იყოს საბავშვო უნიტაზი და ხელსაბანი ანგარიშით: 1 უნიტაზი და 1 ხელსაბანი 10 ბავშვზე.
10. სანიტარიული კვანძის კარები უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ.
11. თავშესაფარში გათვალისწინებული უნდა იყოს სათავსები რეცხვის, გაშრობისა და დაუთოვებისათვის.

მუხლი 4. სათავსები დეზინფექციისა და რეცხვისათვის

1. რეცხვისათვის განკუთვნილი სათავსი სადეზინფექციო კამერასთან (ან სათავსთან) ერთად უნდა განლაგდეს იზოლირებულად საცხოვრებელი სათავსებისაგან. სამრეცხაო აღჭურვილ უნდა იქნეს ცივი და ცხელი წყალმომარაგებით და სათანადო წარმადობის სარეცხი მანქანებით.
2. თეთრეული გარეცხვამდე ექვემდებარება დეზინფექციას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის "ქვეყანაში სამედიცინო და პროფილაქტიკური სადეზინფექციო საქმიანობის სრულყოფის შესახებ" 2002 წლის 19 მარტის N64/ნ ბრძანებით განსაზღვრული სადეზინფექციო ხსნარებით.
3. სამრეცხაო-სადეზინფექციოსთან უნდა განთავსდეს საშრობი და საუთოვებელი სათავსი.

მუხლი 5. კვების ბლოკი

1. კვების ბლოკი უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: სამზარეულო (არანაკლებ 8-10 მ2 ფართობით) და სასადილო დარბაზი (ოთახი თითოეულ ადგილზე 1,2 მ2 ფართობის გადაანგარიშებით).

2. სამზარეულოს ტექნოლოგიური აღჭურვა, ინვენტარი, ჭურჭელი უნდა უზრუნველყოფდეს თავშესაფარში მყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებას.
3. სამზარეულოსა და სასადილო დარბაზის (ოთახის) კედლების მოპირკეთება უნდა მოხდეს სპეციალური ფილებით ან სველი წესით დალაგებისა და დეზინფექციისადმი გამძლე მასალით არანაკლებ 1,7 მ სიმაღლემდე.
4. კვების ბლოკში უნდა იყოს დაცული სისუფთავე. სამზარეულო ექვემდებარება დალაგებას სველი წესით, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით ყოველდღიურად და საჭიროებისამებრ.
5. ყოველთვიურად უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი დასუფთავება და დეზინფექცია, აუცილებლობის შემთხვევაში – დეზინსექცია და დერატიზაცია დადგენილი წესით.
6. სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები გამოიყენება მათი თანმხლები ინსტრუქციების დაცვით. სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები ინახება მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში დამამზადებლის მიერ მოწოდებულ ტარაში.
7. კვების ბლოკი უზრუნვლყოფილი უნდა იყოს სათანადო დანიშნულებისა და რაოდენობის ჭურჭლით.
8. ჭურჭელი უნდა ინახებოდეს დახურულ კარადაში ან თაროებზე იატაკიდან არანაკლებ 0,5 მ სიმაღლეზე.
9. კვების ბლოკი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო ტევადობის მაცივრ(ებ)ით.
10. კვების ბლოკში გამოსაყენებლად შემოსული პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს "სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N301/ნ ბრძანების მოთხოვნებს.
11. ინფექციური დაავადებებისა და მასიური კვებითი მოშხამვების თავიდან ასაცილებლად, დაუშვებელია კუსტარულ პირობებში დამზადებული სურსათის შემოტანა.
12. სურსათი ინახება მწარმოებლის მიერ მითითებული წესების დაცვით, სათანადო ტემპერატურული რეჟიმის გათვალისწინებით.
13. მალფუჭებადი პროდუქტების შენახვა-გამოყენებისას სავალდებულია "განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N303/ნ ბრძანების მოთხოვნების დაცვა.

მუხლი 6. ფსიქოთერაპიის ოთახი

1. ფსიქოთერაპიის ოთახში ხორციელდება მკვიდრის მიერ ფსიქოლოგის, ექიმის, იურისტისაგან კონსულტაციების მიღება, აგრეთვე, რეინტეგრაციის პროგრამების გაცნობა.
2. ფსიქოთერაპიისათვის განკუთვნილი ოთახი უნდა აღიჭურვოს სათანადო ავეჯითა და აუდიოტექნიკით სეანსისთვის კომფორტული გარემოს უზრუნველყსაოფად.

მუხლი 7. სამედიცინო მომსახურება

1. თავშესაფარში ყველა მკვიდრს შესვლისთანავე (არაუგვიანეს 24 სთ-ისა) უტარდება სამედიცინო გამოკვლევა მოწვეული ექიმის ან, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო პროფილის სამედიცინო დაწესებულების სპეციალისტის მიერ.
2. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით მკვიდრთა უზრუნველყოფის მიზნით თავშესაფარს უნდა ჰყავდეს სათანადო კვალიფიკაციის ექთანი.
3. ექიმამდელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად თავშესაფარში უნდა ინახებოდეს (მკვიდრთათვის მიუწვდომელ ადგილას) სამედიცინო პრეპარატებისა და შესახვევი მასალის მინიმალური რაოდენობა (თანდართული ცხრილის შესაბამისად), რომელთა გამოყენებას განკარგავს ექთანი.
4. თავშესაფარში შემოსულთა შორის ინფექციური ან პარაზიტული დაავადებების გამოვლენისას პირველი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიების სახით სავალდებულოა დაავადებულთა იზოლაცია, შემდგომ კი ჰოსპიტალიზაცია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სრულ გამოჯანმრთელებამდე. ამასთან ერთად, თავშესაფრის ტერიტორიაზე ტარდება დეზინფექცია და სამედიცინო შემოწმება

დაავადებულთან კონტაქტების გამოვლენის მიზნით.
5. თავშესაფარში ნებისმიერი სახის ინფექციური დაავადების ან დაავადებაზე ეჭვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ნებისმიერი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიება ჩატარდეს მისი რეკომენდაციებით.
6. თავშესაფარი უზრუნველყოფს მკვიდრის თანმხლები ბავშვების იმუნიზაციას (სათანადო სამედიცინო დაწესებულებაში) საქართველოში მოქმედი აცრების კალენდრის შესაბამისად.

დანართი 2

მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მინიმალური სტანდარტები შემუშავებულია "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და ადგენს მოთხოვნებს მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობისა და ექსპლუატაციისადმი.
2. სარეაბილიტაციო ცენტრი წარმოადგენს მოძალადეთა დროებითი განთავსების ადგილს.
3. ცენტრის სანიტარიული რეჟიმი, დაწესებულების შიდა გარემო და საყოფაცხოვრებო პირობები უნდა უზრუნველყოფდეს მასში განთავსებული პირების ფსიქო-სამედიცინო რეაბილიტაციას, ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ინფექციური და არაინფექციური დაავადებების პროფილაქტიკას.

მუხლი 2. ტერმინები და განმარტებები

1. სარეაბილიტაციო ცენტრი – მოძალადის დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მოძალადის რეაბილიტაციას, კრიზისულ ინტერვენციასა და სამედიცინო დახმარებას.
2. სარეაბილიტაციო ცენტრის მკვიდრი – ოჯახის წევრი (მოძალადე), რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

მუხლი 3. მოთხოვნები ტერიტორიისა და შენობისადმი

1. ცენტრი უნდა იყოს სათანადოდ დაცული.
2. ცენტრის მიმღები პუნქტის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს:
ა) ვესტიბიული გარდერობითა და მკვიდრთა პირადი ნივთების დროებით შესანახი კამერით;
ბ) ოთახი მორიგე პერსონალისათვის;
გ) ცენტრში უნდა იყოს აგრეთვე, შემდეგი სათავსები: საცხოვრებელი (საძინებლებლები), სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო, კვების ბლოკი.
3. ცენტრის შენობა უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს: ცივი და ცხელი წყალმომარაგება, კანალიზაცია, გათბობა, ვენტილაცია, ენერგომომარაგება.
4. საძინებელი ოთახები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ერთ ოთახში განთავსდეს ერთი სქესის არა უმეტეს 2 პირისა. ასეთი სათავსების ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 მ2-ს ერთ პირზე.
5. საცხოვრებელი ოთახების განთავსება სარდაფებსა და ცოკოლის სართულზე დაუშვებელია.
6. საცხოვრებელი ოთახები სასურველია აღიჭურვოს სანიტარიული კვანძით (ხელსაბანი, საშხაპე, ტუალეტი). ასეთის არარსებობისას საერთო სანიტარიული კვანძი უნდა აღიჭურვოს შემდეგი გაანგარიშებით: 2 უნიტაზი და 2 საშხაპე კაბინა ყოველ 10 პირზე, ხელსაბანები ტუალეტსა და საშხაპეში – არანაკლებ 2 ნიჟარისა 10 პირზე გადაანგარიშებით;
7. სანიტარიული კვანძის კარები უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ.
8. ცენტრში გათვალისწინებული უნდა იყოს სათავსები რეცხვის, გაშრობისა და დაუთოვებისათვის.

მუხლი 4. სათავსები დეზინფექციისა და რეცხვისათვის

1. რეცხვისათვის განკუთვნილი სათავსი სადეზინფექციო კამერასთან (ან სათავსთან) ერთად უნდა განლაგდეს იზოლირებულად საცხოვრებელი სათავსებისაგან. სამრეცხაო აღჭურვილ უნდა იქნეს ცივი და ცხელი წყალმომარაგებით და სათანადო წარმადობის სარეცხი მანქანებით.
2. თეთრეული გარეცხვამდე ექვემდებარება დეზინფექციას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის "ქვეყანაში სამედიცინო და პროფილაქტიკური სადეზინფექციო საქმიანობის სრულყოფის შესახებ" 2002 წლის 19 მარტის N64/ნ ბრძანებით განსაზღვრული სადეზინფექციო ხსნარებით.
3. სამრეცხაო-სადეზინფექციოსთან უნდა განთავსდეს საშრობი და საუთოვებელი სათავსი.

მუხლი 5. კვების ბლოკი

1. კვების ბლოკი უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: სამზარეულო (არანაკლებ 8-10 მ2 ფართობით) და სასადილო დარბაზი (ოთახი თითოეულ ადგილზე 1,2 მ2 ფართობის გადაანგარიშებით).
2. სამზარეულოს ტექნოლოგიური აღჭურვა, ინვენტარი, ჭურჭელი უნდა უზრუნველყოფდეს ცენტრში მყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებას.
3. სამზარეულოსა და სასადილო დარბაზის (ოთახის) კედლების მოპირკეთება უნდა მოხდეს სპეციალური ფილებით ან სველი წესით დალაგებისა და დეზინფექციისადმი გამძლე მასალით არანაკლებ 1,7 მ სიმაღლემდე.
4. კვების ბლოკში უნდა იყოს დაცული სისუფთავე. სამზარეულო ექვემდებარება დალაგებას სველი წესით, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით ყოველდღიურად და საჭიროებისამებრ.
5. ყოველთვიურად უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი დასუფთავება და დეზინფექცია, აუცილებლობის შემთხვევაში – დეზინსექცია და დერატიზაცია დადგენილი წესით.
6. სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები გამოიყენება მათი თანმხლები ინსტრუქციების დაცვით. სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები ინახება მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში დამამზადებლის მიერ მოწოდებულ ტარაში.
7. კვების ბლოკი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო დანიშნულებისა და რაოდენობის ჭურჭლით.
8. ჭურჭელი უნდა ინახებოდეს დახურულ კარადაში ან თაროებზე იატაკიდან არანაკლებ 0,5 მ სიმაღლეზე.
9. კვების ბლოკი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო ტევადობის მაცივრ(ებ)ით.
10. კვების ბლოკში გამოსაყენებლად შემოსული პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს "სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N301/ნ ბრძანების მოთხოვნებს.
11. ინფექციური დაავადებებისა და მასიური კვებითი მოშხამვების თავიდან ასაცილებლად დაუშვებელია კუსტარულ პირობებში დამზადებული სურსათის შემოტანა.
12. სურსათი ინახება მწარმოებლის მიერ მითითებული წესების დაცვით, სათანადო ტემპერატურული რეჟიმის გათვალისწინებით.
13. მალფუჭებადი პროდუქტების შენახვა-გამოყენებისას სავალდებულოა "განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N303/ნ ბრძანების მოთხოვნების დაცვა.

მუხლი 6. ფსიქოთერაპიისა და საერთო ოთახი

1. ფსიქოთერაპიის ოთახში ხორციელდება სარეაბილიტაციო პირის მიერ ფსიქოლოგის კონსულტაციების მიღება.
2. ფსიქოთერაპიისათვის განკუთვნილი ოთახი უნდა იქნეს აღჭურვილი სათანადო ავეჯითა და აუდიოტექნიკით სეანსისთვის კომფორტული გარემოს უზრუნველყსაოფად.
3. საერთო ოთახი განკუთვნილია დასასვენებლად და შესაბამისად უნდა აღიჭურვოს ტელევიზორით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

მუხლი 7. სამედიცინო მომსახურება

1. ცენტრში ყველა მკვიდრს შესვლისთანავე (არაუგვიანეს 24 სთ-ისა) უტარდება სამედიცინო გამოკვლევა მოწვეული ექიმის ან, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო პროფილის სამედიცინო დაწესებულების სპეციალისტის მიერ.
2. ცენტრში შემოსულთა შორის ინფექციური ან პარაზიტული დაავადებების გამოვლენისას პირველი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიების სახით სავალდებულოა დაავადებულთა იზოლაცია, შემდგომ კი ჰოსპიტალიზაცია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სრულ გამოჯანმრთელებამდე. ამასთან ერთად, ცენტრის ტერიტორიაზე ტარდება დეზინფექცია და სამედიცინო შემოწმება დაავადებულთან კონტაქტების გამოვლენის მიზნით.
3. ცენტრში ნებისმიერი სახის ინფექციური დაავადების ან დაავადებაზე ეჭვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ნებისმიერი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიება ჩატარდეს მისი რეკომენდაციებით.

დასახელება	რაოდენობა
კეტოლონგი 10 მგ ტბ. N10	1
ბარალგინი 0,5 მგ. ტბ. N10	1
ნო-შპა 40 მგ. ტბ. N100	1
ნო-შპა 40 მგ/2 მლ ამპ.	5
პარაცეტამოლი ტაბლ. 0,5 მგ N10	2
სუპრასტინი 25 მგ ტბ. N20	1
სუპრასტინი 2 % 1 მლ ამპ N5	1
კორვალოლი 25 მლ	2
ვალერიანის ნაყენი 25 მლ	2
ვალოკორდინი 20 მლ	1
ციტრამონი პ ტბ N10	1
ვალერიანის ექსტრაქტი 0,02 გრ ტბ. N50	1
ეუფილინი 2,4% 5მლ N10	1
ფიზიოლოგიური ხსნარი 5 მლ N10	1
პაპავერინის ჰიდროქლორიდი 2% 2 მლ ამპ N10	1
კოფეინის 10% 1 მლ ამპ N10	1
ნიფედიპინი 10 მგ ტბ N10	1
ნიტროგლიცერინი 0,5 მგ ტბ. N40	1
ვალიდოლი 0,06 გრ ტბ N10	2
ბრილიანტის მწვანე 1% 10 მლ	1
იოდის 5% სპირტხსნარი 10 მლ	1
სამედიცინო სპირტი (ეთანოლი) 95% 50 მლ	1
ნიშადურის სპირტი 10% 100 მლ	1
რივანოლის ხსნარი 0,1 % 50 მლ	1
ნახშირი გააქტივებული 0,25 გრ ტბ N10	2
წყალბადის ზეჟანგი 3% 40 მლ	1
შპრიცი ერთჯერადი 2,0	5
შპრიცი ერთჯერადი 5,0	5
შპრიცი ერთჯერადი 10, 0	5
ლეიკოპლასტი 4*500	1
ლეიკოპლასტი ბაქტერიციდული N100	1
ბინტი სტერილური 10X10	5
ბინტი არასტერილური 10X10	5
ბამბა 50,0	2
ხელთათმანი სტერილური	5 (წყვ)
თერმომეტრი	2
პიპეტი	1
წნევის აპარატი	1
შპადელი (ერთჯერადი)	10
რეზინის სათბური	1
ოყნა N1	1
ოყნა N3	1
ოყნა კომბინირებული	1

15

„კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ"

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მინიმალური სტანდარტები ადგენს კრიზისული ცენტრის მოწყობის, საქმიანობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ძირითად მოთხოვნებს.
2. კრიზისული ცენტრი წარმოადგენს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილს,
სადაც პირის (მასზე დამოკიდებული პირების) განთავსება შესაძლებელია:
ა)მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე;
ბ)სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს სურვილს თავშესაფარში მისი განთავსების/გადაყვანის თაობაზე და საჭიროებს მხოლოდ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას ან/და სამართლებრივ დახმარებას ან/და გადაუდებელ და პირველად სამედიცინო მომსახურებას;
3. კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე და ემსახურება მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დაცვის ღონისძიებებს.
4. კრიზისული ცენტრის ბინადარი არის ოჯახში ძალადობის სავარაუდო სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსხვერპლი და მისი არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი, ასევე ოჯახში ძალადობის მხვერპლი, რომელმაც მიმართა რეფერირების სისტემით გათვალისიწნებულ დაწესებულებას/ორგანიზაციას/ორგანოს და რომელიც მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე ან სტატუსის განსაზღვრის შემდეგ განთავსდა კრიზისულ ცენტრში (შემდგომში „ბინადარი");
5. კრიზისულ ცენტრში ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის განთავსება ხდება არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა. თუ ამ პერიოდში სავარაუდო მსხვერპლს განესაზღვრება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, მისი თანხმობის საფუძველზე, იგი შესაძლებელია გადაყვანილ იქნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსხვერპლი ვალდებულია, დატოვოს კრიზისული ცენტრი, თუმცა მას უფლება აქვს, ისარგებლოს კრიზისული ცენტრის სხვა მომსახურებით.
იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო მსხვერპლი მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ არ იქნება ცნობილი „მსხვერპლად" , იგი დაუყოვნებლივ ტოვებს კრიზისულ ცენტრს.
6. კრიზისულ ცენტრში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის განთავსება ხდება არაუმეტეს 6 დღე-ღამისა. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მსხვერპლი ვალდებულია, დატოვოს კრიზისული ცენტრი, თუმცა მას უფლება აქვს, ისარგებლოს კრიზისული ცენტრის სხვა მომსახურებით.
7. კრიზისული ცენტრის სანიტარული რეჟიმი, დაწესებულების შიდა გარემო და საყოფაცხოვრებო პირობები უნდა უზრუნველყოფდეს მასში მცხოვრები სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების დაცვას, უსაფრთხოებას, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას.

მუხლი 2. კრიზისული ცენტრის სერვისები

1. კრიზისული ცენტრი უზრუნველყოფს მასში განთავსებულ პირთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას.

2. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს:
   – ფსიქოლოგიურ დახმარებას;
   – სოციალიზაციის პროცესში ხელშეწყობა;

3. პირველადი სამედიცინო დახმარება მოიცავს:
   – გადაუდებელ პირველად სამედიცინო მომსახურებას.

4. სამართლებრივი მომსახურება მოიცავს:
   – იურიდიულ კონსულტაციას;
   – საჭიროების შემთხვევაში სასამართლო წარმომადგენლობას.

5. კრიზისული ცენტრის მომსახურება უნდა ითვალისწინებდეს არასრულწლოვანთა სპეციფიურ საჭიროებებს.

მუხლი 3. მოთხოვნები ტერიტორიისა და შენობისადმი

1. კრიზისული ცენტრი უნდა იყოს სათანადოდ დაცული და იზოლირებული. კრიზისულ ცენტრში გარეშე პირთა შესვლა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალური რეჟიმის დაცვით.
2. კრიზისულ ცენტრში უნდა იყოს შემდეგი სათავსები: საცხოვრებელი (საძინებლებლები), სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო, საბავშვო ოთახი (ან კუთხე), ფსიქოთერაპიის, სამართლებრივი მომსახურებისა და პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის გაკუთვნილი ოთახები და კვების ბლოკები.
3 თავშესაფრის შენობა უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს: ცივი და ცხელი წყალმომარაგება, კანალიზაცია, გათბობა, ვენტილაცია, ენერგომომარაგება.

მუხლი 5. კვების ბლოკი

1. სამზარეულოს ტექნოლოგიური აღჭურვა, ინვენტარი, ჭურჭელი უნდა უზრუნველყოფდეს თავშესაფარში მყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებას.
2. კვების ბლოკში უნდა იყოს დაცული სისუფთავე. სამზარეულო ექვემდებარება დალაგებას სველი წესით, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით ყოველდღიურად და საჭიროებისამებრ.
3. კვების ბლოკი უზრუნვლყოფილი უნდა იყოს სათანადო დანიშნულებისა და რაოდენობის ჭურჭლით.
4. ჭურჭელი უნდა ინახებოდეს დახურულ კარადაში ან თაროებზე იატაკიდან არანაკლებ 0,5 მ სიმაღლეზე.
5. კვების ბლოკი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო ტევადობის მაცივრებით.
6. ინფექციური დაავადებებისა და მასიური კვებითი მოშხამვების თავიდან ასაცილებლად, დაუშვებელია კუსტარულ პირობებში დამზადებული სურსათის შემოტანა.
7. სურსათი ინახება მწარმოებლის მიერ მითითებული წესების დაცვით, სათანადო ტემპერატურული რეჟიმის გათვალისწინებით.

მუხლი 6. ფსიქოთერაპიის ოთახი

1. ფსიქოთერაპიის ოთახში ხორციელდება ბინადრის მიერ ფსიქოლოგის, ექიმის, იურისტისაგან კონსულტაციების მიღება;
2. ფსიქოთერაპიისათვის განკუთვნილი ოთახი უნდა აღიჭურვოს სათანადო ავეჯითა და ფსიქოლოგიური სეანსისთვის სათანადო გარემოს უზრუნველსაყოფად.

მუხლი 7. სამედიცინო მომსახურება

1. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით მკვიდრთა უზრუნველყოფის მიზნით კრიზისულ ცენტრს უნდა ჰყავდეს სათანადო კვალიფიკაციის ექთანი.
2 ექიმამდელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად კრიზისულ ცენტრში უნდა ინახებოდეს (მკვიდრთათვის მიუწვდომელ ადგილას) სამედიცინო პრეპარატების (მათ შორის პედიატრიული) და შესახვევი მასალის მინიმალური რაოდენობა, რომელთა გამოყენებას განკარგავს ექთანი.
3. კრიზისულ ცენტრში ნებისმიერი სახის ინფექციური დაავადების ან დაავადებაზე ეჭვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ნებისმიერი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიება ჩატარდეს მისი რეკომენდაციებით.